# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №146 (215) შაბათი, 12 აგვისტო, 1995 ფასი 250 000 კუპონი


პოლიტიკა

## მძიმე ნაბიჯებით სამართლებრივი სახელმწიფოსკენ



ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ გასული კვირის პოლიტიკური მოვლენებიდან ცენტრალური ადგილი პარლამენტის საკონსტიტუციო მუშაობას ეთმობა. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გასულ კვირაში პარლამენტმა განიხილა და ძირითადად მიიღო საქართველოს კონსტიტუციის ყველაზე უფრო საკამათო მუხლები, რომლებიც ქვეყნის მმართველობის, ხელისუფლების განაწილებისა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთობას ეხება. მართალია, საბოლოო ვარიანტების შემუშავებისა და სხდომებზე მათი განხილვის პროცესი ძალზე მძიმედ, ხშირად დაძაბულადაც მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო პროცესი, რაც მთავარია, ადგილიდან დაიძრა და დღეს შეიძლება ითქვას, რომ უამრავი დაბრკოლებითა და ბარიერით აღსავსე რთული გზის მნიშვნელოვანი და სერიოზული მონაკვეთი უკვე დაძლეულია.

ამ თვენახევრის წინ, როდესაც პარლამენტში კონსტიტუციის განხილვა დაიწყო, ბევრი ექსპერტი სკეპტიკურად იყო განწყობილი — საქმე ძირითადი კანონის მთავარ მუხლებზე რომ მიდგება, ხმების ორი მესამედის შეგროვება შეუძლებელი იქნებაო. იქვე გაჩნდა „სათადარიგო" ვარიანტიც — პარლამენტში ხმების საჭირო რაოდენობის ვერმიღების შემთხვევაში კონსტიტუციის პროექტის სახალხო რეფერენდუმზე გატანა. თუმცა, ამ ვარიანტს უამრავი უარყოფითი მომენტი ახლავს თან, კერძოდ: რეფერენდუმი ვერ ჩატარდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი ჩატარება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც მძიმედ დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს. ამასთან, შესაძლებელია, საქართველოს მხოლოდ გარკვეულ ნაწილში რეფერენდუმის ჩატარების პრეცენდენტით ისარგებლონ სეპარატისტულმა ძალებმა. მოკლედ, კონსტიტუციის ან მისი ძირითადი ნაწილის (ე.წ. მცირე კონსტიტუციის) მიღებას პარლამენტის მიერ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უდავოდ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის განხილვისადმი მიძღვნილი საგანგებო სხდომების თავმჯდომარეობა სახელმწიფოს მეთაურმა ითავა. რა თქმა უნდა, ეს იყო უმძიმესი მისია, რადგან სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელი იყო სხდომების ზუსტად წარმართვა, ყოველი არგუმენტის სკურპულოზური აწონ-დაწონა, დარბაზში შექმნილი ატმოსფეროს სწორი ანალიზი. თანაც, სახელმწიფოს მეთაური საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რადგან დეპუტატთა ერთი ნაწილი ძირითად პროექტს „შევარდნაძის კონსტიტუციას" უწოდებდა. ასეთი პარლამენტარები უკვე თავიდანვე კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი და მათი აზრის შეცვლას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა.

დღემდე გამართული სხდომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა მაღალ დონეზე გაართვა თავი ამ ამოცანას. უპირველეს ყოვლისა, ეს მოხერხდა დიდი კომპრომისებისა და ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტარებისადმი მაქსიმალურად კორექტული დამოკიდებულებით. მიუხედავად არაერთი შეურაცხმყოფელი გამოხდომისა, ედუარდ შევარდნაძეს არც ერთი წუთით არ დაუკარგავს წონასწორობა და არ უღალატია პრინციპისთვის — Argumentum ad hominem, რაც გულისხმობს ოპონენტთან ისეთი არგუმენტებით კამათს, რომელიც ითვალისწინებს იმ პირის აზრს, ინტერესებს და განწყობას, ვისაც არწმუნებენ. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაური ცდილობდა ისე წარემართა სხდომები, რომ პარლამენტს არ მიეღო ნაჩქარევი, ემოციური ატმოსფეროსგან განპირობებული გადაწყვეტილებები. ერთი სიტყვით, საკონსტიტუციო პროცესის წინსვლაში ლომის წილი სახელმწიფოს მეთაურს უძევს.

გასული კვირის მანძილზე კონსტიტუციის პროექტზე ნაყოფიერი მუშაობის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ ის, რომ წამყვანი პოლიტიკური ძალები უაღრესად კონსტრუქციულად იყვნენ განწყობილნი. სწორედ ამან შეუწყო ხელი შემთანხმებელი კომისიის მეტ-ნაკლებად ნაყოფიერ მუშაობას და პრაქტიკულად უზრუნველყო ხმათა ორი მესამედის დაგროვება კენჭისყრის დროს. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მკვიდრდება კომპრომისების, ურთიერთთანამშრომლობის, განსხვავებულ პოზიციებს შორის კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობა. კონსტიტუციის განხილვისას, წამყვანი პოლიტიკური პარტიების ამგვარმა პოზიციამ პრაქტიკულად საბოლოო შედეგზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება მოუსპო ე.წ. „ჯუჯა პარტიებს", რაზეც ნათლად მეტყველებდა კენჭისყრის შედეგები. მაგალითად, 9 აგვისტოს, პროექტის 66-ე მუხლის პირველ პუნქტზე კენჭისყრისას, რითაც უნდა განსაზღვრულიყო, ირჩევდა თუ არა საქართველო საპრეზიდენტო მმართველობას, დაფიქსირდა შემდეგი შედეგი: მომხრე — 154 (ორი მესამედისთვის საჭირო იყო 149 ხმა), წინააღმდეგი — 14.

და მაინც, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მიიღებს თ არა პარლამენტი სრულ კონსტიტუციას. განსახილველია პროექტის ძალზე მნიშვნელოვანი თავები. შესაძლებელია, პარლამენტმა მხოლოდ ე.წ. მცირე კონსტიტუციის მიღება შეძლოს, მაგრამ ესეც სამართლებრივი სახელმწიფოსკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. რაც მთავარია, შეიქმნება ხელისუფლების კანონიერად ცვლის მყარი საფუძველი, რამაც, თავისთავად, ხელისუფლებისკენ მიმავალი ყველა გზა უნდა დაუხშოს დესტრუქციულ ელემენტებს.

პაატა ვეშაპიძე

რუსეთის სამშვიდობო ძალებმა პირველი ამოცანა, რომელიც მეომარი მხარეების დაშორიშორებაში მდგომარეობდა, შეასრულეს, მეორე — ლტოლვილების სახლში დაბრუნება — 18 თვის მანძილზე ვერ შეძლეს.

იხ. მე-4 გვ.

## ფაქტები და მოვლენები

### აფხაზეთი: შემჩნეულნი არიან «პროქართულ განწყობილებაში»

სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ ვ.არძინბას ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ობიექტური დამკვირვებლების რეგიონიდან „გამოსაძევებლად". როგორც ცნობილი გახდა, კონფლიქტის ზონაში მყოფი გაეროს ერთ-ერთი დამკვირვებელი (მის გვარს გარკვეული მოსაზრებით არ ასახელებენ) უახლოეს მომავალში დატოვებს აფხაზეთის ტერიტორიას. ეს ეხება რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებსაც, რომლებიც შემჩნეულნი არიან „პროქართულ განწყობილებაში". ასეთებს არა მარტო აძევებენ რეგიონიდან, არამედ, უბრალოდ, არმიიდანაც ათავისუფლებენ. იგივე წყაროები იტყობინებიან, რომ არძინბას ხელისუფლება, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატს კონსტანტინ ზატულინს „დამსახურებისთვის" (მცდელობისთვის მოწყვიტოს აფხაზეთი საქართველოს და შეუერთოს რუსეთს) ყოველთვიურად, პონორარის სახის რამდენიმე ათას დოლარს უხდის.

### «აფხაზური ლაშქრობის» მონაწილეს მიესაჯა პატიმრობა

რადიო „თავისუფლების" ცნობით, თენგიზ კიტოვანის განუხორციელებელი „აფხაზური ლაშქრობის" ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, ვინმე ნოდარ ბეკურიშვილს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდის ვადით.

### სიკვდილმისჯილნი მოითხოვდნენ... ჰაერს

ადამიანის უფლებათა დაცვისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტიდან იტყობინებიან, რომ თბილისის პირველი საგამომძიებლო იზოლატორში მყოფმა სიკვდილმისჯილებმა გამოაცხადეს შიმშილობა... ჰაერის მოთხოვნით „ნორმალური სუნთქვისთვის". საქმე ისაა, რომ ბოლო დღეებში დედაქალაქში მძვინვარე 35-40 გრადუსიანი სიცხის გარდა, პატიმართა მდგომარეობას ართულებდა საკნის სარკმლებზე არსებულ გისოსებზე დამატებით აკრული რკინის მასიური დარაბები, რათა გამორიცხულიყო სიკვდილმისჯილთა რაიმე კონტაქტი გარე სამყაროსთან. ამ დღეებში იზოლატორს ეწვია აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, რომელიც შეხვდა ოთხ სიკვდილმისჯილს. ვითარების გარკვევისა და გამოსწორების შემდეგ პატიმრებმა შეწყვიტეს შიმშილობა.

### გერმანელები ზუგდიდში

ამ დღეებში ზუგდიდს ეწვივნენ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლები პანს კუსერშმიდტი, ვოლფგანგ შპრინგერი, აგრეთვე უზენაესი კომისარიატის გალის ოფისის უფროსი ბერნ ენგლანდი. ზუგდიდის საკოორდინაციო შტაბში სტუმრები შეხვდნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნაპოლეონ მესხიას. შეხვედრაზე იმსჯელეს ლტოლვილთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. დაისახა რეგიონში პროდუქტების, კერძოდ, ფქვილისა და მედიკამენტების შემოტანის, აგრეთვე ლტოლვილთა სამუშაოთი უზრუნველყოფის გეგმები. სტუმრები მოგვიანებით ეწვივნენ წალენჯიხასა და ჩხოროწყუს.



სარედაქციო კოლეგია:
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი
რედაქტორი
პაატა ვეშაპიძე
ბივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ სალია
გულსუნდა სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია
პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა გაბროშვილი
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი
სპეციალური კორესპონდენტი შიდა ქართლში
ბივი ბორცვაძე
„არილი"
რევაზ სირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია
„თვალსაწიერი"
თიურა პაპაძე
ცრმა კახნიაშვილი
მაია უკლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი
სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი
იუმორი
ნინო სვანიძე
სარეკლამო სააგენტოს დირექტორი
დიმიტრი მოსულიშვილი
ფოტოილუსტრაცია
გიორგი შატბერაშვილი
ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია
რედაქციის გამგე
ნატა სურმავა
მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის უფროსი
თენგიზ ჩოლოყაშვილი
პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ლალი ჩოლოყაშვილი
ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო კალმახელიძე
მარი ნიკოლაიშვილი
კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ ვიბლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი:
თბილისი,
პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05

## უცხოეთი

### ერაყი: გაიქცნენ ჰუსეინის სიძე-ქალიშვილები

რადიო „თავისუფლების" ცნობით, 10 აგვისტოს ერაყიდან იორდანიაში გაიქცნენ პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ორი ქალიშვილი და სიძე, ერაყის მრეწველობის მინისტრი ჰუსეინ ქამელ ჰასანი. მათ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეს იორდანიის მეფე ჰუსეინს (მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამდენი ჰუსეინისთვის) და მიიღეს კიდეც. კორესპონდენტებთან საუბარში ლტოლვილებმა განაცხადეს, რომ ასეთი ნაბიჯი მათ გადაადგმევინა ერაყში გამეფებულმა აუტანელმა დიქტატორულმა რეჟიმმა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიქტატორის სიძე, რომელსაც ადრე სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა, აქტიურად ეხმარებოდა სადამ ჰუსეინს ძალაუფლების შენარჩუნებაში. კერძოდ, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ საიდუმლო საწარმოს, სადაც, როგორც ვარაუდობდნენ, იყო მცდელობა ბირთვული იარაღის შექმნისა. მანვე არნახული სისასტიკით ჩაახშო ერაყელი ქურთების მიერ ჰუსეინის რეჟიმისა და ქურთისტანის ავტონომიის შენარჩუნებისთვის წამოწყებული აჯანყება.

### ესპანეთი: მზადდებოდა ხუან კარლოსის მკვლელობა

რადიო „თავისუფლება" იტყობინება, რომ 10 აგვისტოს ესპანეთის უშიშროების სამსახურმა დააკავა იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა"-ს სამი წევრი, რომელთაც, როგორც გამოძიებით დასტურდება, განზრახული ჰქონდათ ესპანეთის მეფის ხუან კარლოს ბურბონის მოკვლა. ტერორისტებს, ეროვნებით ბასკებს, ამოუჩინეს დიდძალი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობანი. შეგახსენებთ, რომ ორგანიზაცია „ეტა" არ კმაყოფილდება ბასკეთის მხოლოდ ავტონომიზაციით და ამ კუთხის სრული დამოუკიდებლობისთვის იბრძვის.

### რუსეთი: ლისტევის მკვლელი ცნობილია, მაგრამ...

რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა პროკურორმა გაიდანოვმა განაცხადა, რომ გამოძიებისთვის უკვე ცნობილია ჟურნალისტების ვლადისლავ ლისტევისა და დიმიტრი ხოლოდოვის მკვლელთა ვინაობა, მაგრამ მათ დაკავებამდე, გასაგები მიზეზების გამო, არ შეუძლია გვარების დასახელება.

## პრესკონფერენცია

# ექვსი ათას დოლარად ღირებული დანადგარი ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

10 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ოვალურ დარბაზში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და სოციალისტური პარტიის ენერგეტიკულმა კომისიამ გამართა პრესკონფერენცია თემაზე: „საქართველოში ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისების და გამოყენების პრობლემები".



პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ გაეროს ენერგეტიკული კომისიის ექსპერტები დიდი ბრიტანეთიდან და ჩეხეთიდან, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე თემურ გამცემლიძე, პარტიის გენერალური მდივანი ირაკლი მინდელი, ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარე ნელი ვერულავა.

სოციალისტური პარტიის მიზანია კონკრეტული პროგრამების განხორციელება. პირველი პროექტი, რომელსაც სოციალისტური პარტია ახორციელებს, ლოკალური გათბობის სისტემის წარმოება და ამ სისტემის საქართველოში დამონტაჟებაა. მეორე ახალი პროექტი საქართველოში არსებული ქვანახშირის რესურსების გამოყენებით, ნახშირის გაზიფიკაცია და ამ სისტემით ადგილობრივი ენერგორესურსებით მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელება ამ დარგში ქართველ მეცნიერთა გამოგონების რეალიზაციას განაპირობებს.

„სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ირაკლი მინდელმა განმარტა, რომ პარტიის საქმიანობა სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: ქართველი მეცნიერების მოზიდვა, ინტელექტუალური პოტენციალის საზღვარგარეთ გადინების პროცესის შეჩერება, მეცნიერთა იდეების განსახორციელებლად დამფინანსებელთა მოძებნა, შექმნილი პროექტების განხორციელებით დაინტერესებულ მეწარმეთა მოძიება.

„გაეროს ენერგეტიკული პროგრამებით და მსოფლიოს ენერგეტიკოსთა კავშირის პროგნოზით, ამ სისტემის დანერგვა, რომლის გამოგონებაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფს ეკუთვნის, მსოფლიოში 2030 წლისთვის პირველ ადგილს დაიკავებს. ღმერთმა ქნას, მთელი 30-40 წლით დავასწროთ მსოფლიოში ამ სისტემის დანერგვას და პრაქტიკულ გამოყენებას", — განაცხადა ირაკლი მინდელმა.

ქართველმა მეცნიერებმა უკვე დაამონტაჟეს გენერატორი, რომელიც ნახშირის გამოწვისას ბუნებრივ აირს გამოიმუშავებს.

როგორც პარტიის ლიდერმა განაცხადა, დანადგარის ფასი ექვსი ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. ერთი დანადგარი ორმოცბინიან საცხოვრებელ სახლს მოამარაგებს, თითოეული მოსახლე 150 დოლარის ექვივალენტს გადაიხდის. ახალი სისტემა 1987 წელს დაკონსერვებული ახალციხის ქვანახშირის საბადოს ამოქმედებას შეუწყობს ხელს, სადაც 12 ათასი მუშახელი დასაქმდება. გაერომ მხარი დაუჭირა წარდგენილ პროგრამას და პროექტს.

რჩეულიშვილის თქმით, ქვეყანას აქვს ენერგომატარებლების ის რესურსები, რომლითაც საქართველოს ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრა შეუძლია, თუმცა, ამ ეტაპზე რესპუბლიკის ენერგოკრიზისის მთლიანად აღმოფხვრა, ვერ მოხერხდება.

**დიანა გაბროშვილი**

# შეხვედრა ელჩებთან

ამჟამად საქართველოში იმყოფებიან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოებში.

გუშინ პარლამენტის ოვალურ დარბაზში თედო ჯაფარიძე და თემურ მამაცაშვილი ჟურნალისტებს შეხვდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში საელჩოების მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებას ეკონომიკური სფერო წარმოადგენს, ამ მიმართულებების სწორ განვითარებაში საქართველოს შიდაპოლიტიკურ ძალთა გადანაწილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროცესების ანალიზის საშუალებას კი საელჩოებს, ძირითადად, საკუთარი ქვეყნიდან მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი აძლევს. ამ მხრივ, საელჩოებს გარკვეული პრობლემები ექმნებათ. საჭიროა საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხების სრულყოფა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ხშირ შემთხვევაში; ვერ ხერხდება ოპერატიული ინფორმაციის მიწოდება. აშშ-ში საქართველოს საელჩო აქტიურად ჩაერთო ვაშინგტონის პოლიტიკურ პროცესებში.

ჟურნალისტთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია აზერბაიჯანის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტის პროექტებმა, და ძირითადად, კითხვებიც ამ საკითხს შეეხო.

თედო ჯაფარიძემ და თემურ მამაცაშვილმა დაადასტურეს, რომ პროექტების განხილვისას გადამწყვეტია ეკონომიკური ფაქტორი. პროექტებში ჩადებულია აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმში მონაწილე სახელმწიფოთა რეგიონული ინტერესები და მარშრუტის პროექტების დეფინიცირება პირობითია. საკითხი რაც უფრო გადამწყვეტ ფაზაში შედის, მით უფრო იზრდება წინადადებები და ვარიანტები. შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესები და, აქედან გამომდინარე, მარშრუტის რამდენიმე ვარიანტმა იმუშაოს, თუ, რა თქმა უნდა, კონსორციუმში მონაწილე კერძო კომპანიები საკითხის ასეთ გადაწყვეტას პრაგმატულად მიიჩნევენ.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ირანის მარშრუტის პროექტის იგნორირება პოლიტიკური პოზიციების და გეოსტრატეგიის გარდა ფინანსურმა გაანგარიშებებმაც განაპირობა.

31 აგვისტოს აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმის დირექტორთა საბჭო მარშრუტის პროექტების საბოლოო განხილვას შეუდგება.

ნავთობსადენის თემა საკმაოდ დელიკატური საკითხია და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს აზერბაიჯანის კონსორციუმში მონაწილე სახელმწიფოებთან ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

**ხათუნა რეხვიაშვილი**

# "მე მზად ვარ დავეხმარო გამოძიებას..."

ჩვენმა საზოგადოებამ ბოლო წლებში იმდენი სისასტიკე იხილა, რომ ახალი ამბავი მას ძნელად თუ გააოცებს, მაგრამ გასული წლის 28 ივნისს ჩადენილმა ლია ჭოველიძის სასტიკმა მკვლელობამ ხალხი გააოგნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქმე 9 აპრილს დაღუპული თამრიკო ჭოველიძის დედას ეხება, 9 აპრილის მსხვერპლთა სახელები კი ქართველი ხალხისთვის სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა, სიმბოლოდ, რომელიც თანაბრად წმინდაა ათასად დანაწევრებული ქართველობისთვის.

მომხდარზე თავიდანვე ათასი ჭორი აგორდა, 9 თვის შემდეგ, 1995 წლის მარტის დასაწყისში კი საზოგადოება კიდევ ერთმა ახალმა — მკვლელების დაკავების — ამბავმა შეძრა. საინფორმაციო საშუალებები ინტენსიურად აშუქებდნენ მომხდარ ფაქტს, ტელევიზიამ გადასცა ფრაგმენტები ეჭვმიტანილთა აღიარებებიდან, 17 აპრილს კი პროკურატურის მოთხოვნით დაკავებულები გაათავისუფლეს, ხოლო აღძრული საქმე დაშალეს იმ მოტივით, რომ აღიარება ფიზიკური ზემოქმედებით იქნა მიღებული. სამაგიეროდ, შეიკერა და გამაგრდა პოლიციის პოლკოვნიკ გელა კვათელაშვილის საქმე, რომლის სახელსაც ჯერ ლია ჭოველიძის საქმის გახსნა დაუკავშირდა, შემდეგ კი ძალაუფლების გადამეტებისა და ფიზიკური ზემოქმედების გზით არასწორი აღიარებების მიღების ბრალდება. 1995 წლის 8 აგვისტოს ქრცხთავის პროკურორის, ბატონ ჯუნედი ბერიძის სანქციით გელა კვათელაშვილი და მისი კოლეგა, გამოძიების პროცესის მონაწილე, თბილისის პოლიციის უფროსი ინსპექტორი გია კიკაჩეიშვილი. დააკავეს. კოლეგის დაკავებამ დიდი მღელვარება გამოიწვია პოლიციის თბილისის სამმართველოში, თანამშრომლები გაფიცვას აპირებდნენ — თუ გახსნილი საქმეებისთვის დაგვიჭერენ, მაშინ ჩვენს მუშაობას რაღა აზრი აქვსო, მაგრამ სამმართველოს უფროსის, ბატონ დემურ მიქაძის ჩარევით პოლიციელები დაშოშმინდნენ. პოლიციასა და პროკურატურას შორის ურთიერთობა დაიძაბა, ხალხი ინტერესით ელოდება კვანძის გახსნას. რედაქციაში მოიტანეს ბატონ გელა კვათელაშვილის განცხადება, რომელსაც აქვე გთავაზობთ, თვითონ საქმის მიმდინარეობის შესახებ კი მომდევნო ნომრებში მოგაწვდით შედარებით სრულ ინფორმაციას.

**საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს**

**საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს**

**საქართველოს რესპუბლიკის შს მინისტრს**

**საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსს**

მიმდინარე წლის 3. მარტს ჩვენს მიერ დაკავებული იქნა გასული წლის 28 ივნისს ლია ჭოველიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ჯგუფი. დაკავების დღიდანვე ვგრძნობდით პროკურატურის გამომძიებლების მხრიდან საქმისადმი ტენდენციურობას, რაც მალე ღია კონფლიქტში გადაიზარდა.

დღეის მდგომარეობით დამნაშავენი არიან განთავისუფლებულნი, ხოლო მე სრულიად ალოგიკური მიზეზების გამო ვიმყოფები პატიმრობაში და ღირსებაშელახული.

მიუხედავად ჩემი არაერთგზის მცდელობისა დამემტკიცებინა სიმართლე, სამწუხაროდ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პროკურატურის გამომძიებლებთან, ჩემთვის გასაგები მიზეზების გამო, ეს შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე იძულებული გავხდი გამომეცხადებინა ჩემთვისვე მიუღებელი უვადო შიმშილობა, მოთხოვნით:

მე მზად ვარ დავეხმარო გამოძიებას, მივცე ყველა საჭირო ჩვენება, ვთქვა ბევრი რამ, რაც ჯერ კიდევ არ მითქვამს. გარდა ამისა, მაქვს საკმაო მასალა, რომლითაც არა მარტო გამომძიებელთა ჯგუფს, არამედ მთელ საქართველოს დავუმტკიცებ ვინ ვინ არის. ერთის პირობით, ძიებაში ჩაერთონ ზემოაღნიშნული სამსახურების კომპეტენტური მუშაკები — პარლამენტის კანონიერების და მართლწესრიგის დაცვისა და იურიდიული კომისიების წარმომადგენლები, უშიშროების სამსახურის და შ ს სამინისტროს საგამოძიებლო დეპარტამენტის მუშაკები, რაღა თქმა უნდა, რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები.

ბატონ სანდრო კავსაძეს განსაკუთრებულად არ მივმართავ, რადგანაც მჯერა, რომ იგი ჩემი თხოვნის გარეშეც დაინტერესდება.

პატივისცემით:
გ.კავთელიშვილი
10.08.95.

### ბატონ გურამ ჩახვაძეს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციის წევრს ვაშინგტონში.

ბატონო გურამ, დიდ მადლობას გიხდით ფაქსისთვის, რომელიც შეეხება შეხვედრას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და ედპ-ის დელეგაციის შეხვედრას ვაშინგტონში 12 ივლისს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ ნასიამოვნები დავრჩით თქვენთან შეხვედრით, და ამ საკითხების განხილვით, რომელიც ეხებოდა თქვენს მიზნებს და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას საქართველოში. იმდენად, რამდენადაც საქართველოში ამ საკითხებთან დაკავშირებით დებატები კვლავაც გრძელდება, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ პრობლემებზე საუბარი თქვენთან. ახეთი აზრთა გაცვლის შედეგად მთავრობის წევრებსა თუ საქართველოს სხვა წარმომადგენლებთან, ბანკს შესაძლებლობა აქვს უკეთესად გაერკვეს საქართველოს ეკონომიკის პოტენციალში და იმ მიმართულებებში, რომლებმაც სწორად უნდა წარმართონ ეკონომიკური რეფორმები. ჩვენ ეს შეხვედრა მეტად სასარგებლოდ ჩავთვალეთ, რადგან შევიტყვეთ პარლამენტის ზოგიერთი წევრის აზრი ეკონომიკის დარგში, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და მისი განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

შეხვედრისთვის განკუთვნილი დროის სიმცირისა და ამ საკითხების მასშტაბურობის გამო, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გვაქვს სურვილი კიდევ ერთხელ შეგხვდეთ ვაშინგტონიდან თქვენს წასვლამდე, თუმცა ჩვენი გეგმა ამას არ გულისხმობდა. ჩვენ სიამოვნებით გავაგრძელებთ თქვენთან დისკუსიას ვაშინგტონში ან თბილისში.

პატივისცემით

ქრისტოფერ პაული

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო წერილი ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ბატონ ჯეიმს ბრედისგან წერილში აღნიშნულია:

„მე ნასიამოვნები დავრჩი თქვენთან შეხვედრით ამერიკის დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში. ვიმედოვნებ, რომ აზრთა გაცვლა დიდად პროდუქტიული იყო ჩვენთვის ისევე, როგორც თქვენთვის. მე დიდი ინტერესით მივადევნებ თვალს თქვენი პარტიის წარმატებებს საშემოდგომო არჩევნებზე".

ედპ-ის პრესცენტრი

განვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს

# სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს

**ხანგრძლივი და ცხარე დებატების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მოიწონა კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლის ასეთი რედაქცია: „1. სიცოცხლე ადამიანის შეუვალი უფლებაა და მას კანონი იცავს. 2. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე. სასჯელის უმაღლესი ზომის — სიკვდილით დასჯის — გამოყენება, მის საბოლოო გაუქმებამდე, დაიშვება მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა სიკვდილი ან სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი და მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთაც ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩაიდინეს და რომელიც სასამართლომ საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშად ცნო“. აღნიშნული მუხლის განმარტება ვთხოვეთ გენერალური პროკურორის მოადგილეს ალექსანდრე შუშანაშვილს.**

რა შეიძლება ითქვას? პირველ რიგში, ალბათ, ის, რომ ამ მუხლს ნაკლებად ამჩნევია პროფესიონალის ხელი. მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს ისეთ სამართლებრივ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიცაა შეუვალი უფლება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ორგანული კანონი, სასამართლოს მიერ საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშად ვინმეს ცნობა და ა.შ. ეს არაფერი. პარლამენტი, ალბათ, კიდევ იმსჯელებს პროექტის საბოლოო რედაქციაზე და ასეთი ლაფსუსები გამოსწორდება. მთავარი ისაა, რომ აღნიშნული მუხლი უალრესად აფართოებს სიკვდილით დასჯის გამოყენების სფეროს. სისხლის სამართლის კოდექსში საკმაოდ ბევრია ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია განსაკუთრებით მძიმე შედეგი, განსაკუთრებით დიდი ზიანი, განსაკუთრებით დიდი ზარალი და ა.შ. ბევრ შემადგენლობაში მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევა დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ოცდაათამდე დანაშაულისთვის მაინც გაიზრდება მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით. გარდა ამისა, უოვლად დაუშვებელია სასჯელთა სახეების დადგენა ბრალის ფორმების მიხედვით. ასეთ რამეს არც ჩვენი და არც სხვა რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა არ აკეთებს. ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს ხშირად გაცილებით მძიმე შედეგები მოსდევს, ვიდრე პირდაპირი განზრახვით ჩადენილს.

სიკვდილით დასჯის საკითხს კონსტიტუცია შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უქმდება სასჯელის ეს სახე ან არსებითად იზღუდება მისი გამოყენების სფერო. სწორედ ასეთია დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა. მაგალითად, შვეციის კონსტიტუცია ადგენს, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება აკრძალულია. იტალიის კონსტიტუციით სიკვდილით დასჯა არ დაიშვება გარდა ომის დროს მოქმედი სამხედრო კანონებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონსტიტუცია თუ ასეთ არსებით გადაწყვეტილებას არ იღებს, არცაა საჭირო სიკვდილით დასჯაზე მასში რამის თქმა და ამ სასჯელისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ რაღაც ილუზიების შექმნა.

ახლა კი არსებითად. ცოტა რამ ისტორიიდან. ძველ საქართველოში სიკვდილით დასჯას („სიკვდილის მიცემა“) იყენებდნენ მხოლოდ ისეთი მძიმე დანაშაულისთვის, როგორიც იყო მეფისა და სახელმწიფოს ღალატი, მეფის საჯარო შეურაცხყოფა, მეკობრეობა. არის აზრი, თითქოს გიორგი მესამის დროს კვალიფიციური ქურდობისთვისაც („შრავალჭერ პარვა“) სჯიდნენ სიკვდილით, მაგრამ ეს არაფრით არაა დადასტურებული, ყოველ შემთხვევაში, ივანე ჯავახიშვილი ამას ძალზე საეჭვოდ მიიჩნევს. მე-19 საუკუნის დამდეგისთვისაც კი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა ინგლისის კანონმდებლობა 160-ზე მეტი დანაშაულისთვის, საფრანგეთის კანონმდებლობა 60-მდე დანაშაულისთვის, გერმანიის კანონმდებლობა 50-ზე მეტი დანაშაულისთვის და ა.შ. სიკვდილით დასჯას იყენებდნენ ისეთი დანაშაულებისთვისაც, როგორიცაა მუქარა, ტყის გაჩეხვა, ქურდობა, სხვისი ცხოველის დაკვლა და ა.შ. ამასწინათ, აშშ პრეზიდენტმა კლინტონმა კონგრესში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც 70 სახის დანაშაულისთვის ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. მათ შორის, არასრულწლოვნების მიმართაც მკვლელობის, ძარცვისა და გაუპატიურებისთვის. უფრო ადრინდელ ეპოქებში ხომ სრული განუკითხაობა იყო. მაგალითად, ძველ ათენში სოლონის კანონები თითქმის ყველა დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯას აწესებდა. ერთხელ, თურმე სოლონს უთხრეს, ეს რა კანონები დაგვიწერე, კაცის კვლაც სიკვდილით ისჯება და ცხენის ქურდობაცო. იმ ცხონებულმა იცით, თურმე, რა უპასუხა? ვინც იპარავს, სიკვდილის ღირსია, ვინც კაცს ჰკლავს, მას მეტი ეკუთვნის, მაგრამ სიკვდილზე მკაცრი სასჯელი ველარ მოვიგონეო.

ყველაფერ ამას იმიტომ ვიხსენებ, უფრო ღრმად გავიაზროთ, საიდან მოვდივართ, ვისი და რისი მემკვიდრეები ვართ. სოლცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თამარ მეფის დროს სიკვდილით დასჯა საერთოდ გაუქმებული იყო. ეს მაშინ, როდესაც ცივილიზებულმა ევროპამ მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს დააყენა ეჭვქვეშ სიკვდილით დასჯის მიზანშეწონილობის საკითხი. პირველად ეს გააკეთა იტალიელმა ჩეზარე ბეკარიამ, რომელიც ამის გამო ღვთის ერეტიკოსად გამოაცხადეს.

ილია ჭავჭავაძეზე დიდი კაცი საქართველოში არ მოუკლავთ. ოლღა ჭავჭავაძემ მეფეს მიმართა თხოვნით, ჩემი მეუღლის მკვლელებს სიკვდილით ნუ დასჯით, თვითონ ისიც წინააღმდეგი იყო ასეთი სასჯელისა. ამ მიმართვამ მთელი მსოფლიო შეძრა. ლევ ტოლსტოიმ ამ მიმართვას სოლცრება უწოდა, ხოლო საქვეყნოდ ცნობილ იურისტებს დღემდე მაღალი ზნეობისა და ადამიანობის მაგალითად მოჰყავთ. დღეს კი ქართველი ქალბატონები პარლამენტში ძალ-ღონეს არ იშურებენ, დაასაბუთონ სიკვდილით დასჯის აუცილებლობა. „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო...“

სიკვდილით დასჯის შესახებ იმდენი რამაა ნათქვამი და დაწერილი, როდესაც ჩვენს პარლამენტში ამ საკითხის განხილვას რადიოთი ვისმენდი, ვიფიქრე, ნეტავ, რაღა უნდა თქვან-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ორივე მხარემ ბევრი რამ თქვა საინტერესო და ანგარიშგასაწევი. უდაოდ სწორია აზრი, რომ სიკვდილით დასჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთის ადეკვატური არ უნდა იყოს. ჩვენი კანონი რომ თავისუფლების აღკვეთის უფრო დიდ ვადებს, თუ გნებავთ,სამუდამო პატიმრობასაც ითვალისწინებდეს, სიკვდილით დასჯისადმი ხალხის დამოკიდებულება, ალბათ, უფრო სხვანაირი იქნებოდა. სამუდამო პატიმრობის ტრადიცია არ გვაქვს და ამ სასჯელს ქართული ხასიათი ვერ შეეგუება.

ქართული ხასიათი ვერც სიკვდილით დასჯას ეგუება. ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ სიკვდილის განაჩენების აღსრულება ნამდვილად ხდება. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სიკვდილმისჯილებს აგზავნიან მაღაროებში, სადღაც შორს, საიდანაც ისინი ველარ ბრუნდებიან. სიკვდილით დასჯისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულება შესანიშნავადაა ნაჩვენები და გადმოცემული ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. შეადარეთ პეტრეს განცდები დიკენსის მიერ მონინგების ან ტურგენევის მიერ ტროპმანის საჯაროდ დასჯის სცენებს და დარწმუნდებით, რა მაღალზნეობრივი და უნიკალურია ქართველების დამოკიდებულება ამ ბარბაროსული სასჯელისადმი.

პარლამენტის სხდომაზე სიკვდილით დასჯის მომხრეებმა ერთ-ერთ არგუმენტად მოიტანეს ის, რომ ამ სასჯელის გაუქმება ლინჩის, ესე იგი თავითგასამართლებისა და ჩაქოლვის შემთხვევებს გაზრდისო. პირიქით, სახელმწიფოს რომ არ ექნება სიკვდილით დასჯის უფლება, ამის გაკეთებას სხვებიც მოერიდებიან, ნაკლებად გაბედავენ. ამჟამად სიკვდილით დასჯა 40-ზე მეტ ქვეყანაშია გაუქმებული, მაგრამ იქ ლინჩის პრობლემა არ დგას. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, ინგლისი, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა და სხვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ლინჩის შემთხვევები სწორედ იმ შტატებშია აღრიცხული, სადაც სიკვდილით დასჯა მოქმედებს. იქ, სადაც სახელმწიფო კლავს დამნაშავეს, აწყობს ორგანიზებულ მკვლელობას, ეს სურვილი კერძო პირებსაც ადვილად უჩნდებათ. ლინჩი — ველურობა, მხეცობა, ანგარიშსწორების ცხოველური ფორმაა. ასეთი ინსტინქტები ადამიანებს უნდებათ იქ, სადაც მოშლილია კანონიერების რეჟიმი, სახელმწიფო ვერ ახორციელებს დამნაშავეთა დასჯის ფუნქციას, ვერ მართავს საზოგადოებას.

სიკვდილით დასჯის არსებობა ამახინჯებს ხალხის მართლშეგნებას, ნერგავს შურისძიებასა და სისასტიკეს, პრესტიჟის საქმედ აქცევს სიკვდილის განაჩენის მიღწევასა და აღსრულებას. არცთუ იშვიათად, დანაშაული არასწორად კვალიფიცირდება, დამნაშავე სიკვდილით ისჯება გავლენიანი დაზარალებულების ჩარევითა და დაწოლით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც პარლამენტის სხდომაზეც სამართლიანად აღინიშნა: შედომისგან არც მართლმსაჯულებაა დაზღვეული. არ არსებობს და არც იქნება სასამართლო შეცდომის აბსოლუტურად გამომრიცხავი გარანტიები. უშეცდომო ადამიანები ჯერ არ დაბადებულან. მოგეხსენებათ, სიკვდილით დასჯის გამოყენებისას დაშვებული შეცდომა რას ნიშნავს. განა შეიძლება არსებობდეს უფრო დიდი ბოროტება თუ უბედურება, ვიდრე სახელმწიფოს სახელით უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაა.

მრავალი ქვეყნის და წლების პრაქტიკით დადასტურებულია, რომ სიკვდილით დასჯა დამნაშავეობის მდგომარეობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. ამ სასჯელმა დიდი ხანია დაკარგა თავზარდამცემი ზემოქმედების ფუნქცია, რასაც იგი სისასტიკითა და საჯაროდ აღსრულებით აღწევდა. ადამიანთა მოდგმას, ალბათ, არაერთ სფეროში არ გამოუჩენია იმდენი ფანტაზიორობა, როგორც სიკვდილით დასჯის აღსრულების ხერხების გამოგონებაში. ლიტერატურაში სიკვდილით დასჯის 30-ზე მეტი სახეობაა აღწერილი. ღვინოში ადუღება, ჯვარცმა, კოცონზე დაწვა, ცოცხლად დამარხვა, გატყავება, გამოშიგვნა და ვინ იცის, რაღას არ იგონებდნენ დამნაშავის წამებით მოსაკლავად. მხოლოდ 1789 წელს ექიმ გილიოტინის წინადადებით გამოაცხადა საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომ სიკვდილით დასჯა სიცოცხლის მოსპობაა და იგი ერთჯერადი აქტით უნდა სრულდებოდესო. დაახლოებით ამავე პერიოდში ხელისუფალთ შეიგნეს სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების მთელი საშინელება და მოხდა ამ აქტის გასაიდუმლოება. ადრე საზეიმო დღეებში და ხალხმრავალ მოედნებზე ხდებოდა სიკვდილით დასჯა, თვეობით არ ხსნიდნენ გვამებს სახრჩობელიდან, თვალსაჩინო ადგილას სახრეებზე წამოაცმევდნენ ხოლმე მოკვეთილ თავებს. სიკვდილით დასჯის ცერემონიალებში მეფეები და მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. პრეობრაჟენსკში პეტრე პირველმა და თავადმა მენშიკოვმა სტრელცებს თვითონ მოაჭრეს თავები.

საგულისხმოა, რომ საქართველოში ამ მხრივაც განსხვავებული მდგომარეობა იყო. სიკვდილით დასჯა თითქმის ყოველთვის ერთჯერადი აქტითა და ხალხის დაუსწრებლად სრულდებოდა.

ერთი მომენტიც, რაზედაც არავინ ლაპარაკობს. სიკვდილის განაჩენი ადამიანებს მოყავთ სისრულეში. ზოგი უშუალო ამსრულებელია, ზოგიც ოფიციალური დამსწრე. არავინ არ ფიქრობს იმ ადამიანების სულიერ მდგომარეობაზე, მათ ოჯახზე და შთამომავლობაზე. ამ ხალხს თუ არაფერ აწუხებს, მათმა შვილებმა რა დააშავეს, რატომ უნდა ზიდონ საზოგადოებრივი ზიზღისა და სიძულვილის მძიმე ტვირთი?

პარლამენტის სხდომაზე ისიც ითქვა, ეს საკითხი რეფერენდუმზე გავიტანოთ და ხალხმა გადაწყვიტოსო. ამის გაკეთება არაა საჭირო. არც ერთ ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმდა, რეფერენდუმი არ ჩაუტარებიათ. არის საკითხები, რაც მხოლოდ ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებრივი ვნებებისა და ემოციების გარეშე. ერთ-ერთი ასეთი საკითხია სწორედ სიკვდილით დასჯა. იგი უნდა გაუქმდეს და ეს უპირობოდ ჩაიწეროს კონსტიტუციაში. ამით ისტორიულ სამართალმემკვიდრეობასაც დავიცავთ და ჩვენი ეროვნული ბუნების წარმოსაჩენ საქმესაც გავაკეთებთ.

გამოცდილება

# პარლამენტები და პარტიები

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევისას პრიორიტეტი პროპორციულ საარჩევნო სისტემას მიანიჭა.

ყველა ქვეყანა საკუთარი, ინდივიდუალური გზით მივიდა გარკვეულ კომპრომისამდე, რომელიც საარჩევნო კანონის გარშემო ამტყდარი დიდი და მწვავე ბატალიების ფასად იქნა მიღწეული. ქვემოთმოყვანილ ცხრილებში დაფიქსირებულია დისკუსიებისა და კამათის შედეგები, თვალნათლივ ჩანს საარჩევნო სისტემების ქაოტური ხასიათი ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში.

№ 1 ცხრილში მოცემულია პარტიათა, მოძრაობათა და კოალიციების მიერ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლები. შედარებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქვედა პალატების დანაწევრების ხარისხები.

ცხრილის მიხედვით, აღნიშნული რეგიონის პარლამენტთა შორის ყველაზე დანაწევრებულ ქვედა პალატას პოლონეთის სეიმი წარმოადგენს. ამ ქვეყანაში ყველაზე მსხვილ პარტიას ხმების მხოლოდ 14 პროცენტი აქვს მოპოვებული. მას მოსდევს 4-5 პარტია, რომლებსაც ხმათა მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, დანარჩენები მანდატების მთელი რაოდენობის ნახევარს ინაწილებენ. აქედან გამომდინარე, სეიმი აღმოჩნდა დანაწევრების ფაქტორის გავლენის ქვეშ — პარტიათა დიდი რაოდენობა ერთი აშკარა დომინანტის გარეშე. ამას შედეგად მოჰყვა არასტაბილური მთავრობის ჩამოყალიბება და დიდი სიძნელეები ახალი მმართველი კოალიციის ფორმირებისას.

უნგრეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და ალბანეთში პარლამენტები ნაკლებად დანაწევრებულია. ამ ქვეყნების ქვედა პალატაში კიდეც რომ გაერთიანდეს რომელიმე ორი პარტია, მმართველი პარტიის მიერ მოპოვებულ ხმათა რაოდენობას რიცხობრივად ვერ გადააჭარბებს.

საპარლამენტო სისტემების მკვლევართა მიერ შემუშავებულია კონცეფცია „ეფექტური პარტიების“ შესახებ. „ეფექტურს“ წარმოადგენს მუშაობისას სხვადასხვა კოალიციებში მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, პარტიის ეფექტურობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი არის არა პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების რაოდენობა, არამედ მისი მონაწილეობა სხვადასხვა კანონშემოქმედებით გაერთიანებებში. პარტია, რომელიც ქვედა პალატაში ფლობს ადგილების 10 პროცენტს, შეიძლება, რეალურ ძალად მივიჩნიოთ.

ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსალოდნელია პოლიტიკური არენიდან წვრილი პარტიების გასვლის ტენდენცია. როგორც № 2 ცხრილიდან ჩანს, არჩევნებში ბევრი წვრილი პარტიის მონაწილეობა და მათი პარლამენტში მოხვედრა, დაჯგუფებების შექმნის შესაძლებლობას მკვეთრად ამცირებს. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ამომრჩეველთა მეოთხედის ინტერესები პარლამენტს მიღმა რჩება. შექმნილი სიტუაციის ძირითადი მიზეზებია: არჩევნებში მონაწილე პარტიათათვის არასაკმარისი პროცენტული ბარიერის დაწესება, პარლამენტში სადეპუტატო მანდატების სიჭარბე, ქვეყანაში უამრავი წვრილი პარტიული დაჯგუფების არსებობა. აღნიშნული სიტუაციის შედეგად, მოსახლეობის დიდი ჯგუფები, რომელთა ინტერესები არ იქნა გათვალისწინებული ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, საზოგადოებაში დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მოამზადა

**დავით ნინიკაშვილმა**

### ცხრილი № 1.

პარტიებისა და კოალიციების ადგილების რაოდენობა პარლამენტებში (პროცენტებში)

| პოლონეთი | რუმინეთი | უნგრეთი | ჩეხეთი | სლოვაკეთი | ბულგარეთი | ალბანეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13.48 | 34.31 | 42.49 | 48.49 | 47.06 | 45.83 | 65.71 |
| 12.04 | 24.05 | 23.83 | 19.19 | 19.61 | 44.17 | 27.14 |
| 10.65 | 12.61 | 11.40 | 10.10 | 11.76 | 10.00 | 5.00 |
| 10.48 | 8.80 | 8.55 | 8.08 | 11.76 | 0.71 | |
| 10.00 | 7.92 | 5.44 | 7.07 | 9.80 | 1.43 | |
| 9.66 | 4.68 | 5.44 | 7.07 | | | |
| 8.04 | 3.81 | 0.26 | | | | |
| 6.09 | | | | | | |
| 5.87 | | | | | | |
| 2.46 | | | | | | |
| 1.52 | | | | | | |
| 1.09 | | | | | | |
| 0.87 | | | | | | |
| 0.87 | | | | | | |
| 0.87 | | | | | | |
| 0.87 | | | | | | |

### ცხრილი № 2.

პარტიები პარლამენტების ქვედა პალატებში.

| ქვეყანა | არჩევნებში მონაწილე პარტიათა რაოდენობა | პარტიების რაოდენობა პარლამენტში | „ეფექტური პარტიების“ რაოდენობა | გადახრა პროპორციულობიდან |
|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 67 | 18 | 10.9 | 5.5 |
| რუმინეთი | 74 | 7 | 4.8 | 1.9 |
| უნგრეთი | 45 | 7 | 3.8 | 1.5 |
| ჩეხეთი | 21 | 6 | 2.4 | 2.8 |
| სლოვაკეთი | 22 | 5 | 3.4 | 1.6 |
| ბულგარეთი | 37 | 5 | 2.4 | 0.7 |
| ალბანეთი | 11 | 3 | 1.9 | 4.0 |

# ადამიანის უფლებები და თანამედროვე სოციალიზმი

ამ სტატიაში შევეცდები, ძალზე მოკლედ განვიხილო ადამიანის უფლებათა დაცვის უზოგადესი პრობლემა თანამედროვე სოციალისტური კონცეფციების თვალთახედვით. ამიტომ არ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას ადამანის უფლებათა დარღვევის იმ მასობრივ გამოვლინებებზე, რომლის მოწმენი ვყავით და ვართ საქართველოს ტერიტორიაზე გაღვივებულ ეთნო- თუ სამოქალაქო კონფლიქტებში — ეს მაინც სხვა, სპეციალური გამოკვლევის საგანი უნდა იყოს.

გავიხსენოთ, რა ვითარება შეიქმნა მსოფლიოში სულ რაღაც 5-6 წლის წინათ, რა ემოციები ამოძრავებდა მილიონობით ადამიანს, როდესაც აუდიტორიაში თუ მიტინგზე, ეთერსა თუ პრესაში „ადამიანის უფლებათა" თემა გაიჟღერებდა ხოლმე. იმხანად „ადამიანის უფლებათა" მეტად კომპლექსურ, საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ ცნებაში პირველ რიგში იგულისხმებოდა მისი ჰუმანიტარული ასპექტები — უდანაშაულობის პრეზუმპცია, სიტყვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიტინგების თავისუფლება და ა.შ. ასეთი იყო კრიტერიუმები, რომლებიც 70-80-იან წლებში შეიტანეს პოლიტიკასა და კულტურაში ისეთმა მოღვაწეებმა — მე მხოლოდ ყველაზე ცნობილებს ვასახელებ — როგორც ჯეიმს კარტერი და ანდრია სახაროვი იყვნენ. როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, მაშინ, თურმე, დაშლის პირას ყოფილა ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბლოკი მთლიანად, იმსხვრეოდა სტალინური ქაიდის ყაზარმული სოციალიზმი, ტოტალიტარული სისტემა, გამოიკვეთა „ცივ ომში" დასავლეთის მომავალი გამარჯვება. ცოტვილივე ეს უბრალო ადამიანებისთვის ცნობილი არ იყო. მსოფლიოში მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა და ამ ბრძოლაში დასავლეთის ერთ-ერთი მძლავრი იარაღის სწორედ „ადამიანის უფლებათა დაცვის" კონცეფცია წარმოადგენდა. ვფიქრობ, ასეთი კონცეფცია, რომლის სული და გული ადამიანის ჰუმანიტარული უფლებების პრიორიტეტის გაცხადება იყო. ამ იარაღის ეფექტურად გამოყენების საშუალებას დასავლეთს აძლევდა ჰელსინკის ისტორიული შეთანხმებების ე.წ. „მესამე კალათა", ვინაიდან სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ადამიანის ჰუმანიტარულ უფლებათა დარღვევა მართლაც სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი მაგალითების მოყვანა მეტად შორს წაგვიყვანდა. ასე რომ, „ადამიანის უფლებათა დაცვის" დასავლურმა კონცეფციამ ფართო გავრცელება და აღიარება ჰპოვა, ხოლო ადამიანის სოციალ-ეკონომიკური უფლებები, მათ შორის, სიცოცხლის უფლება, ძალაუნებურად უკანა პლანზე აღმოჩნდა გადაწეული. დღეს, ახალი ისტორიული ეპოქის გარიჟრაჟზე, გამოჩნდა, რომ ზემოხსენებული დასავლური კონცეფციის სრული გამარჯვების შედეგები ცალსახა როდია. ერთი მხრივ, ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით მისასალმებელია, რომ მკვეთრად გაიზარდა თავისუფლების ხარისხი, კარგია ისიც, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს შინაგან საქმეში ჩარევა ალარ გახლავთ ის ფეტიში, რომელზეც ლოცულობენ ადამიანის უფლებათა დამრღვევი რეჟიმები მთელ მსოფლიოში, ბევრი სხვა დადებითი მომენტის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, უარყოფითი მომენტებიც წარმოჩნდა — კერძოდ ის, რომ, ასე ვთქვათ, მოდაში შემოვიდა ადამიანის ჰუმანურ უფლებათა დაცვა სოციალ-ეკონომიკური უფლებების ხარჯზე, რაც საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ. ერთი სიტყვით, ქანქარა მარჯვნივ გადაიხარა, ისე უკიდურესად მარჯვნივ, რომ სრულიად ბუნებრივად აიხსნება მილიონობით — ხოლო თუ ყოფილ სოციალისტურ სამყაროზე ვილაპარაკებთ, ათეულ მილიონობით — ადამიანის გაცხადებული თუ ქვეცნობიერი ლტოლვა ახალი წონასწორობის დამყარებისკენ პირობითად „მარჯვენა" და პირობითად „მარცხენა" ფასეულობებს შორის. ამ მილიონებმა საკუთარ თავზე გამოცადეს, თუ რასთან მივყავართ დასავლური კონცეფციების აბსოლუტიზაციას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ამ უფლებათა სოციალური მხარის იგნორირებას. ამიტომაც ვართ დღეს იმის მოწმენი, რომ ქანქარამ თანდათანობით დაიწყო უკიდურესად მარჯვენა წერტილიდან მარცხნივ გადახრა. სოციალისტური მოძრაობის გაძლიერება საქართველოში ნაწილობრივ მაინც აიხსნება უკანასკნელ წლებში მიღებული მწარე გამოცდილებით. რაღაც იდეებმა მიმზიდველობა დაკარგა, რაღაც ფასეულობების პროფანირება მოხდა, დემოკრატიული სოციალიზმის დისკრედიტაცია კი დღემდე ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ „ძველი სოციალიზმის" დისკრედიტაციის სიღრმე იმდენად მასშტაბური იყო, რომ ნებისმიერი ტიპის სოციალისტურ ალტერნატივაზეც კი ძნელი იყო ლაპარაკი. მაგრამ დრო შეიცვალა. საზოგადოებაში დიდია მოლოდინიც და იმედიც. იმედი იმისა, რომ თანამედროვე ტიპის სოციალისტები, მათი გაძლიერების შემთხვევაში, ისე დააბალანსებენ საზოგადოებრივ ყოფიერებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომ ქვეყანა გადაურჩება მემარჯვენე თუ მემარცხენე ექსტრემიზმს: ველურ, პრიმიტიულ, კრიმინალურ, ანტიჰუმანურ კაპიტალიზმს, ერთი მხრივ, და ყაზარმულ, ვულგარულ, არანაკლებ ანტიჰუმანურ სოციალიზმს, მეორე მხრივ. საქართველოს საზოგადოებასა და ხალხს, არ სურს, რომ საქართველო დაემსგავსოს ან 70-იანი წლების სალვადორსა თუ ჰაიტის, ან პოლპოტისეულ კამპუჩიას. არადა, ჰუმანიტარული და სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაბალანსების, „მემარცხენე" და „მემარჯვენე" ფასეულობების ერთიანობაში მოყვანის პრობლემა არათუ არსებობს, არამედ უზოგადეს ხასიათსაც კი ატარებს. აქ ბატონ ზბიგნევ ბჟეზინსკის დავესესხები, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ თბილისში ვიზიტის დროს ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ თუმცა, დემოკრატიული იდეოლოგიის გამარჯვება მსოფლიოს მასშტაბით ძალზე სასურველი რამ არის, რისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, მაგრამ არ შეიძლება, თვალი დავხუჭოთ იმ გარემოებაზე, რომ XXI საუკუნეში დემოკრატიულმა ფასეულობებმა, შესაძლოა, აზრი დაკარგონ კაცობრიობის 5/6-თვის სწორედ სოციალური საკითხების მოუგვარებლობის გამო. ფუტუროლოგიურ პროგნოზები ამ მხრივ საკმაოდ ფრთხილი და პესიმისტურია. ასევე ნუ დავივიწყებთ, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების პრობლემატიკის ფესვების ნაწილი მართებულია, ვეძიოთ წარსულში, მაგალითად, საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, რომლის ლოზუნგებში ძმობასა და თავისუფლებასთან ერთად თანასწორობაც იყო ხსენებული. ასე რომ, ადამიანის უფლებათა ცნება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი როდია, იგი ვითარდება ისტორიულ პროცესთან ერთად და ვეჭვობ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ზემოხსენებული „დასავლური მოდელი", რომელიც ასე კარგად ესადაგებოდა ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების საერთაშორისო რეალიებს, ადექვატური იყოს იმ პროცესებისა, რომლებიც მომავალ საუკუნეში გაიშლება და რომელთა თანამონაწილე, იმედია, საქართველოც იქნება. არ არის გამორიცხული, რომ დემოკრატიული სოციალიზმის იდეა, რომელმაც ვერ ჰპოვა განვითარება 1968 წლის ჩეხოსლოვაკიაში ყველასთვის ცნობილ მიზეზთა გამო, ამა თუ იმ ფორმით განხორციელდება საქართველოში და, იქნებ, არა მხოლოდ საქართველოში. ვფიქრობ, რომ ადამიანის უფლებაა დაცვის პრობლემა, შესაძლებელია, კომპლექსურად გადაწყდეს სწორედ ასეთ ჩარჩოებში.

**გიორგი ლორთქიფანიძე**

საქართველოს სახალხო-სოციალისტური პარტიის პოლიტმდივანი

პრესმერიდიანი

# ბიჭვინთაში კიდევ დიდხანს ვერ დავისვენებთ

საქართველოს და აფხაზეთს მდინარე ენგური ყოფს, ხოლო აკავშირებს ვიწრო 600-მეტრიანი ხიდი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ხიდზე საქართველოდან აფხაზეთისკენ მოძრაობა სასიამოვნო იყოს — ყოველ წამს შეიძლება, გესროლონ. ვერანაირი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ვერ გადაგარჩენენ. უბრალოდ, ვერ მოასწრებენ. თუმცა, იქითა მხრიდან ნამდვილად მშვიდობიანად გამომაცილეს, ხოლო აქეთ მხარეს მეგობრულად მიმიღეს. უკვე წელიწადნახევარია, ენგურზე რუსეთის სამშვიდობო ძალების 4 ბატალიონია განლაგებული. პირველი ამოცანა, რომელიც მეომარი მხარეების დაშორიშორებაში მდგომარეობდა, მათ შეასრულეს. მეორე — ლტოლვილების სახლში დაბრუნება — 18 თვის მანძილზე ვერ შეძლეს.

ერთხელ, თითქოს, ყველა მხარემ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, — მიამბობდა სამშვიდობო ძალების ერთ-ერთი ჯარისკაცი, — და ქართველების მხრიდან 3 ათასამდე კაცი შეგროვდა. იყვნენ მოხუცები, ბავშვები, ქალები. თან საქონელიც მოჰყავდათ. მაგრამ უცებ აფხაზთა მხარემ მოიყვანა და პოზიციებზე განალაგა ჯარი თავისი ტექნიკით, ტყვიამფრქვევებით, ზარბაზნებით. ერთ მხარეს უამრავი ქართველი შეგროვდა, მეორე მხარეს, მთაზე — შეიარაღებული აფხაზები, რომლებიც ხროლის დაწყებით იმუქრებოდნენ. ჩვენ კი, სამშვიდობო ძალები, მათ შორის აღმოვჩნდით ერთი ჯავშანტრანსპორტიორის და ავტომატების ამარა. ვფიქრობდით, რომ მორჩა, წირვა გამოგვიყვანეს, მაგრამ ბრძანებამ მოგვისწრო: შეაჩერეთ ლტოლვილთა დაბრუნება.

შევაჩერეთ კიდეც, თანაც ისე, რომ არც დაგვიწყია. ლტოლვილთა შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც გადაწყვიტა, ნებისმიერი რისკის ფასად შინ დაბრუნებულიყო. საქართველოში ცხოვრება აუტანელია, იქ კი, მდინარის გაღმა, რაც არ უნდა იყოს, საკუთარი კერაა.

## სახლი...

„მშვიდობიან" გალის რაიონში (აფხაზეთის ომში მის მოსახლეობას, პრაქტიკულად, მონაწილეობა არ მიუღია) წლინახევრის განმავლობაში, ქართული მხარის მონაცემებით, 700-ზე მეტი ადამიანია მოკლული და 4000-ზე მეტი სახლი — გადამწვარი. საბაბი: „ქართველ პარტიზანებთან ბრძოლა".

ქართველები მათი არსებობის ფაქტს არც ადასტურებენ, არც უარყოფენ. სამაგიეროდ, დამსჯელები ვიხილე: გალის რაიონში, „უშიშროების ზონაში", აფხაზური მილიციის ქვედანაყოფებია დაბინავებული. გასაუბრება დავაპირე ერთ „ქვედანაყოფთან" — ავტომატით შეიარაღებულ და სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ სამ გაუპარსავ სომეხთან. რუსეთიდან ჩამოსულ ჟურნალისტთან საუბარი მათ არ ისურვეს, სამაგიეროდ, სამშვიდობო ძალების პატრულს ამაყად წარუდგინეს იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი ბეჭდიანი საბუთი. სამშვიდობო ძალების მანდატის ჩარჩოების მკაცრი დაცვით, ადგილობრივი მილიცია პერიოდულად სოფლების პარტიზანებისგან „წმენდის" ღონისძიებას ატარებს. მაგრამ „ჩუმ-ჩუმად" რა ხდება, არავინ უწყის.

— რას უნდა ელოდეს კაცი ამ „მილიციონერებისგან", რომელთაგან თითოეულს 10-15-წლიანი პატიმრობა აქვს გავლილი? — „სამშვიდობო ძალების" ლეიტენანტი პასუხის ნაცვლად მხრებს იჩეჩავს. ყველასთვის ცხადია, რომ ამჟამად არსებული აფხაზური კანონების მიხედვით, ვინც არმიასა და მილიციაში იწყებს სამსახურს, გარანტირებული აქვს სახლი ზღვაზე და ყველა ცოდვისგან თავისუფლდება. მათივე კანონით, ნებისმიერს უფლება აქვს, დათმოს საკუთარი ეროვნება და გახდეს „აფხაზი". თავად განსაჯეთ, ვინ ემსახურება მათ — ვისაც ცხოვრება არ აეწყო, არ გაუმართლდა. აფხაზური მილიცია სავსეა ჩეჩნებით, ყაბარდოელებით, კაზაკებით.

## ადამიანი და იარაღი

დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რითი და როგორ დაიწყო ეს აბედითი ომი აფხაზეთში, 92-ში. ყველა მშვენიერ დასასვენებელ ადგილს მისტირის. იგი მართლაც იყო ამგვარი, მაგრამ მასში უკვე ფეთქავდა „აფხაზური პრობლემა". პერიოდულად აფხაზთა ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ მათ ქართველები საკუთარი ტერიტორიაზე ავიწროებდნენ. ასეთი ფაქტები მართლაც დასტურდება. მაგრამ, ძირითადად, 90 000 აფხაზი შესანიშნავად გრძნობდა თავს ნახევარმილიონიან რესპუბლიკაში, რომელშიც 240 000 ქართველი ცხოვრობდა, 75 000 რუსი და ამდენივე სომეხი, 15 000 ბერძენი, 12 000 უკრაინელი...

მაგრამ, ცნობილია, რომ პატარა ქვეყნები დიდ თამაშში ხშირად „ადვილადგასაწირელი" ბანქოს როლს ასრულებენ. სწორედ ასეთი თამაშის დრო დადგა 90-იანის დასაწყისში, როცა ადრე ძმური საქართველო დამოუკიდებელი გახდა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ზვიად გამსახურდია, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: „საქართველო-ქართველებისთვის" და კატეგორიული უარი განაცხადა დსთ-ში შესვლაზე. შემდეგ თ.კიტოვანმა „დროულად" დაძრა ტანკები სოხუმისკენ. სწორედ მაშინ ათამაშდა „აფხაზური" ბანქო. აფხაზეთისთვის და დნესტრისპირეთისთვის ერთი და იგივე სცენარი იწერებოდა.



## გაკვეთილები და შედეგები

— მოლაპარაკების პროცესი რთულად მიმდინარეობს —ასე მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს — ჯერჯერობით რეალური შედეგები არ გაგვაჩნია. თუმცა, რუსეთის აქტიური ჩარევით, შესაძლებელია, მიმდინარე წელს მივაღწიოთ ლტოლვილთა დაბრუნებას. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერი გავაკეთეთ: დსთ-ს წევრი გავხდით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებას დავთანხმდით, ჩეჩნეთთან საზღვარი გადავკეტეთ. როდესაც მეკითხებიან, რით ვხელმძღვანელობდი ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ვპასუხობ: „რუსეთი დაინტერესებულია, რომ მისი სამხედრო ძალა წარმოდგენილი იყოს ამიერკავკასიაში. საქართველო ამ რეგიონის საკვანძო ქვეყანაა. ცხადია, ჩვენი მიზანია საქართველოს იურისდიქციის აღდგენა მთელ მის ტერიტორიაზე და საკუთარი არმიის შექმნა. ეს ყველაფერი მხოლოდ რუსეთის დახმარებით და თანადგომითაა შესაძლებელი".

სიტყვით ყველა მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეა. მაგრამ ეს შეუძლებელია, სანამ სეპარატისტებს წინანდებურად გარედან ეხმარებიან. ხომ ყველამ იცის: ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მხოლოდ აფხაზები, არა მხოლოდ 8 ათასი ჩეჩენი ბოევიკი, არამედ მათ გახსნილად უჭერდა მხარს რუსეთის არმია, რუსეთის ავიაცია. მე, პირადად, ვაფრთხილებდი, რომ ეს ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდებოდა. ასეც მოხდა. რომ არ ყოფილიყო აფხაზეთის მოვლენები, არც ჩეჩნეთი იქნებოდა.

რა შეიძლება, ვივარაუდოთ მომავალში? სამწუხაროდ, ოპტიმიზმისთვის საფუძველი არ გაგვაჩნია. და, ვაი რომ, კიდევ დიდხანს ვერ დავისვენებთ ბიჭვინთაში. ორი წლის წინ რუსეთი ეხმარებოდა აფხაზეთს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, რათა, ერთი პოლიტიკოსის თქმის არ იყოს, გამოეყენებინათ იგი „საქართველოს დსთ-ში შესათრევ მათრახად". დღეს ეს „მათრახი" ქართველებთან ურთიერთობაში „საჯილდაო ქვად" იქცა და თვით რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება. აფხაზეთის ომში გამოიწრთო ჩეჩენი ბოევიკების ბირთვი, შამილ ბასაევის მეთაურობით. მოკლედ, სანამ აფხაზეთი თავისთვის არის, ჩეჩნეთიც იქნება.

ასე რომ, შესაძლებელია, უახლოეს მომავალში რუსეთმა აფხაზეთი „ჩააბაროს". ღმერთმა ქნას, ეს მშვიდობიანი გზით მოხერხდეს, მაგრამ, საუბედუროდ, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდება. ნახევარი წლის განმავლობაში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი არ დაიძრება, საქართველო სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, შემდეგ კი ახალი ომი გარდაუვალია. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რუსეთი ისევ მხარს დაუჭერს სეპარატიზმს უცხო ტერიტორიაზე, სადაც მხარეთა ძალები უფანასწოროა ( 5 მლნ. ქართველი და 300 000 აფხაზეთის მოსახლე), ჩეჩნეთის დახმარებაც გამორიცხულია... ასეთი ომი, შესაძლოა, ნამდვილ ხოცვა-ჟლეტად იქცეს.

**ივან მოროზოვი**

„არგუმენტი ი ფაქტი"

№31 (772)

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №1 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგები

| საწარმოს დასახელება | განაცხადის რეგისტრაციის № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| 1. „ჩარხი-ხაზი“ | 00028 | 01 | 4 185 |
| | 00043 | 01 | 45 |
| | 00054 | 01 | 6 750 |
| | 00068 | 01 | 90 |
| | 00072 | 01 | 135 |
| | 00079 | 01 | 9 000 |
| | 00091 | 01 | 7 020 |
| | 00100 | 01 | 45 |
| | 00145 | 01 | 2 745 |
| | 00154 | 01 | 5 625 |
| | 00004 | 03 | 3 780 |
| 2. „ამალთეა“ | 00004 | 01 | 114 |
| | 00008 | 01 | 38 |
| | 00011 | 01 | 190 |
| | 00012 | 01 | 380 |
| | 00024 | 01 | 152 |
| | 00026 | 01 | 38 |
| | 00030 | 01 | 76 |
| | 00040 | 01 | 38 |
| | 00048 | 01 | 38 |
| | 00050 | 01 | 76 |
| | 00084 | 01 | 38 |
| | 00086 | 01 | 152 |
| | 00090 | 01 | 38 |
| | 00092 | 01 | 304 |
| | 00101 | 01 | 38 |
| | 00121 | 01 | 38 |
| | 00132 | 01 | 38 |
| | 00140 | 01 | 76 |
| | 00148 | 01 | 114 |
| | 00152 | 01 | 38 |
| | 00153 | 01 | 119 434 |
| | 00001 | 03 | 38 |
| | 00010 | 05 | 5 130 |
| | 00-11 | 05 | 10 260 |
| | 00006 | 08 | 152 |
| | 00002 | 09 | 114 |
| | 00004 | 09 | 190 |
| | 00008 | 10 | 380 |
| | 00001 | 47 | 38 |
| | 00002 | 58 | 38 |
| | 00002 | 63 | 152 |
| | 00003 | 63 | 532 |
| | 00004 | 66 | 190 |
| | 00002 | 66 | 38 |
| 3. „გამოფენა-ცენტრი“ | 00005 | 01 | 86 |
| | 00085 | 01 | 129 |
| | 00058 | 01 | 33 110 |
| | 00073 | 01 | 430 |
| | 00098 | 01 | 43 |
| | 00133 | 01 | 86 |
| | 00007 | 05 | 43 |
| | 00001 | 09 | 172 |
| 4. „უქსოვადი ქსოვილები“ | 00010 | 01 | 90 |
| | 00087 | 01 | 45 |
| | 00076 | 01 | 135 |
| | 000777 | 01 | 90 |
| | 00078 | 01 | 45 |
| | 00081 | 01 | 225 |
| | 00089 | 01 | 90 |
| | 00093 | 01 | 450 |
| | 00105 | 01 | 45 |
| | 00122 | 01 | 90 |
| | 00126 | 01 | 45 |
| | 00127 | 01 | 45 |
| | 00128 | 01 | 90 |
| | 00130 | 01 | 45 |
| | 00158 | 01 | 5 625 |
| 5. „ავიასერვისი“ | 00002 | 01 | 99 |
| | 00007 | 01 | 33 |
| | 00013 | 01 | 99 |
| | 00014 | 01 | 33 |
| | 00016 | 01 | 66 |
| | 00020 | 01 | 165 |
| | 00038 | 01 | 33 |
| | 00045 | 01 | 33 |
| | 00047 | 01 | 33 |
| | 00062 | 01 | 66 |
| | 00066 | 01 | 165 |
| | 00103 | 01 | 33 |
| | 00141 | 01 | 66 |
| | 00160 | 01 | 8 910 |
| | 00001 | 02 | 28 710 |
| | 00008 | 05 | 33 |
| | 00001 | 10 | 99 |
| | 00004 | 58 | 99 |
| | 00011 | 58 | 33 |
| 6. „თბილმელანჟე“ | 00085 | 01 | 12 150 |
| | 00102 | 01 | 45 |
| 7. „ქუთაისის საკონდიტრო ქარხანა“ | 00023 | 01 | 45 |
| | 00087 | 01 | 12 150 |
| | 00096 | 01 | 45 |
| | 00139 | 01 | 90 |
| | 00001 | 58 | 225 |
| | 00003 | 58 | 45 |
| | 00005 | 58 | 45 |
| | 00006 | 58 | 135 |
| | 00003 | 58 | 90 |
| | 00014 | 58 | 90 |
| | 00005 | 58 | 13 500 |
| | 00001 | 63 | 45 |
| 8. „მინის ტარის ქარხანა“ | 00097 | 01 | 45 |
| | 00007 | 58 | 180 |
| | 00008 | 58 | 90 |
| | 00009 | 58 | 180 |
| | 00012 | 58 | 270 |
| 9. „მერკური-92“ | 00031 | 01 | 90 |
| | 00032 | 01 | 90 |
| | 00060 | 01 | 90 |
| | 00063 | 01 | 225 |
| | 00064 | 01 | 45 |
| | 00095 | 01 | 450 |
| | 00003 | 03 | 270 |
| | 00005 | 05 | 45 |
| | 00003 | 08 | 45 |
| 10. „ფარნავაზი“ | 00104 | 01 | 45 |
| 11. „ნინო“ | 00071 | 01 | 99 |
| | 00080 | 01 | 13 365 |
| | 00106 | 01 | 33 |
| | 00120 | 01 | 132 |
| | 00147 | 01 | 66 |
| | 00150 | 01 | 264 |
| | 00151 | 01 | 165 |
| | 00006 | 10 | 132 |
| | 00007 | 10 | 46 200 |
| 12. „ლაინი“ | 00074 | 01 | 180 |
| | 00107 | 01 | 45 |
| | 00136 | 01 | 90 |
| 13. „ავტომშენებელი-2“ | 00108 | 01 | 21 |
| | 00125 | 01 | 2 835 |
| | 00164 | 01 | 11 865 |
| 14. „ცენტრალური სუპერმარკეტი“ | 00006 | 01 | 35 |
| | 00017 | 01 | 210 |
| | 00019 | 01 | 175 |
| | 00021 | 01 | 35 |
| | 00022 | 01 | 70 |
| | 00027 | 01 | 35 |
| | 00029 | 01 | 35 |
| | 00033 | 01 | 70 |
| | 00034 | 01 | 70 |
| | 00036 | 01 | 105 |
| | 00041 | 01 | 35 |
| | 00044 | 01 | 1 750 |
| | 00046 | 01 | 35 |
| | 00051 | 01 | 455 |
| | 00053 | 01 | 35 |
| | 00057 | 01 | 35 |
| | 00059 | 01 | 35 |
| | 00061 | 01 | 70 |
| | 00083 | 01 | 35 |
| | 00094 | 01 | 35 |
| | 00109 | 01 | 35 |
| | 00137 | 01 | 175 |
| | 00143 | 01 | 35 |
| | 00155 | 01 | 420 |
| | 00156 | 01 | 3 500 |
| | 00001 | 04 | 350 |
| | 00002 | 05 | 58 240 |
| | 00003 | 05 | 875 |
| | 00004 | 05 | 35 |
| | 00009 | 05 | 3 605 |
| | 00001 | 48 | 35 |
| | 00002 | 48 | 70 |
| | 00001 | 56 | 35 |
| | 00010 | 58 | 175 |
| 15. „იხანი“ | 00001 | 01 | 45 |
| | 00119 | 01 | 225 |
| | 00138 | 01 | 90 |
| | 00157 | 01 | 2 700 |
| | 00159 | 01 | 11 250 |
| | 00161 | 01 | 22 365 |
| | 00162 | 01 | 112 950 |
| | 00001 | 66 | 45 |
| 16. „მარკეტკრწანისი“ | 00025 | 01 | 117 |
| | 00042 | 01 | 1 950 |
| | 00067 | 01 | 5 811 |
| | 00110 | 01 | 39 |
| | 00124 | 01 | 78 |
| | 00001 | 05 | 195 |
| | 00001 | 08 | 12 675 |
| | 00002 | 08 | 39 |
| | 00002 | 10 | 78 |
| | 00003 | 10 | 39 |
| | 00004 | 10 | 57 330 |
| | 00005 | 10 | 94 770 |
| 17. „მაცნე“ | 00111 | 01 | 36 |
| | 00144 | 01 | 4 860 |
| | 00163 | 01 | 29 160 |
| 18. „თბილისის ნავთობპროდუქტი“ | 00015 | 01 | 176 |
| | 00018 | 01 | 220 |
| | 00049 | 01 | 44 |
| | 00052 | 01 | 44 |
| | 00065 | 01 | 220 |
| | 00070 | 01 | 264 |
| | 00075 | 01 | 440 |
| | 00082 | 01 | 220 |
| | 00112 | 01 | 44 |
| | 00131 | 01 | 44 |
| | 00135 | 01 | 220 |
| | 00002 | 03 | 44 |
| | 00006 | 05 | 44 |
| | 00001 | 07 | 112 464 |
| | 00004 | 08 | 44 |
| | 00003 | 09 | 220 |
| 19. „ვაგი“ | 00055 | 01 | 45 |
| | 00113 | 01 | 45 |
| 20. „საწარმოუზრუნველყოფა“ | 00114 | 01 | 45 |
| 21. „თბილისის ქაღალდის ფაბრიკა“ | 00009 | 01 | 45 |
| | 00039 | 01 | 45 |
| | 00115 | 01 | 45 |
| | 00134 | 01 | 90 |
| | 00142 | 01 | 45 |
| | 00012 | 05 | 24 300 |
| | 00001 | 16 | 225 |
| | 00002 | 16 | 90 |
| 22. „აქატი“ | 00088 | 01 | 12 150 |
| | 00116 | 01 | 45 |
| | 00123 | 01 | 90 |
| | 00129 | 01 | 6 120 |
| 23. „სილიკატი“ | 00003 | 01 | 45 |
| | 00117 | 01 | 45 |
| 24. „დუზანი“ | 00099 | 01 | 45 |
| | 00146 | 01 | 1 350 |
| | 00005 | 08 | 45 |
| 25. „ხიდმშენი“ | 00056 | 01 | 45 |
| | 00118 | 01 | 45 |

შენიშვნა: გამარჯვებული განაცხადის შემთხვევაში, განაცხადის ნომერი უნდა ემთხვეოდეს ქვითარში მითითებული განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და პუნქტის ნომერს.

## ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია



ნიკოლო მიწიშვილი (სირბილაძე); რომლის დაბადებიდან ასი წელი შარშან შესრულდა, ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის „ცისფერყანწელების" ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად მიიჩნევა. ღრმა განათლებამ და დახვეწილმა შინაგანმა კულტურამ განაპირობა მისი ლექსების ნატიფი ფორმა, საინტერესო ვერსიფიკაციული ძიებები — ტრადიციულ საზომებთან ერთად მიმართავდა ვერლიბრის ნაირსახეობებს, რაც ხელშესახებად გადმოცემდა ოციანი წლების ნერვულ ატმოსფეროს, ეპოქის სულს. მის პოეზიაში უხვად არის მიმობნეული დამთრგუნველი, აპოკალიფსური ხილვები და რომ ეს ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა, ჩვენმა უმკაცრესმა — ნგრევით, ხანძრით, სისხლით, ომებით, უდანაშაულო ადამიანთა მასიურად ხოცვაჟლეტით აღსავსე საუკუნემაც ცხადყო.

ნიკოლო მიწიშვილის ლირიკაში მუდამ მთავარი იყო ეროვნული თვითშეგნების მოტივი, ეს გახლდათ საქართველოს გადასარჩენად აღვლენილი მხურვალე ლოცვა, ლექსის სამოსელში გამოხვეული. ნიშანდობლივია, რომ ეს საინტერესო შემოქმედი 1937 წლის სისხლიან რეპრესიებს შეეწირა.

### ჩვენ — „ცისფერი ყანწები"

მარად ლექსები. პოეზია — გადაქანება,
საქართველოს კი დაუბერა ციებამ, სურდომ,
ჩვენ პოეზიამ თავი მაინც ვერ დაგვანება
და ვერ გაგვტეხა შემოსეულ სიკვდილთა ურდომ.
სამშობლოს ჭვარზე პოეზიით დალურსმულები
ფეხზე ვიკიდებთ ჭენიოსთა დაფნის გვირგვინებს
და როცა ქვეყნის ალსასრული ჩამოიგრგვინებს,
ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულებმ,
ჩვენ ლექსებს დავწერთ, ავტირდებით და ავატირებთ,
ჩვენი დარტყმული ამ ქვეყანას დარჩება ლარი,
თვალწამოვარდნილ საქართველოს გადვინადირებთ
და ჩვენს ძეგლებზე აინთება ლოცვის ოლარი.

ჭყვირიან. იქადნიან ტრამვაები.
პოეტები დადიან აბუზული.
სიცივეა. ვაება.
იწყება თეატრები. შესავალთან დიდი ომია,
ვინ მოგეხათრება?

ანათებს შორით უცხო სიტყვა —
„გასტრონომია".
გალარიბდა „ბუენოს-აირესი",
შეიქმნა ვაჭარი ჭაერის.

ნუთუ არავინ გაიარს კეთილი.
საშინელი იქნება ღამე.

სძინავთ ქაშუეთსა და პარლამენტს.
გვიანაა. აწი ვის მოედები?
ვინ გადაურჩება ასეთ ამინდს?
რამ უნდა გაათბოს
პოეტები?

სიზმრებისათვის მიყვარდა ძილი.
ყველგან ვითხოვდი მე შეცოდებას,
ატირებული სიმარტოვეთი.
არ იყო ხელის გამოწოდება
და არ გამათბეს სოფლის პოეტი.
ბოლოს ვიპოვე კეთილი ძაღლი,
და გულზე ძაფით შევაბი გული,
მაგრამ წამება მან გამიახლა —
ორივე ვნახე მე დაკარგული.
ასე — ბედისგან დამოკლებული
დავდივარ, კაცი ულარიბესი:
გული თრევისგან გამოქლიბული
და გასრესილი ჩემი ჩიბისი.

### სამშობლოს

ო, საქართველოვ, წიგნო ჩუმად გადასაშლელო,
გულისცემაში ჩასრესილო, სიკეთევ წმინდა.
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო,
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა.

დიდი ტრფიალის მეც დამადგი მძიმე უღელი,
გასწონე გული სიყვარულის მწივანა ისრით —
მე, თავმოჭრილი, წამებაში შეწუხებული,
გეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით.

### მეტად უნუგეშო პეიზაჟი

გადახმა ტყემლები ჩვენს სოფელში,
ჩვენს საყდარს დაჭკნის ყვავები.
ეზოში ლერწების ხვავები,
მოხრილი გლეხი ნაჭახით ხელში.
ჩვენში სოკოები დაესია ხეებს
და გოგირდით წამლობენ ბაღებს.
ნესტი ანადგურებს საყდრის კუთხეებს
და მღვდელი დაეძებს საყდრის გასაღებს.
ჩაქრა ქურბაქი.
აღარ ისმის ხმა სამჭედურში.
და ჩარხი დანის გასალესად აღარ ტრიალებს.
მჭედელს კბილი სტკივა, ლობესთან მზის ყურეში
სოფლის დალაქი ხბოსავით ალრიალებს.
ჩვენ შემოგვეჩვია კვიმატი ფარული
და გაზაფხულზე დაგვიშრა წყარო.
მეზობელს მოუკვდა შვილი გაპარული
და ისმის დედის
„ჩემო შვილო დაუვიწყარო".
საყდრის გალავანში წაიქცა ცაცხვები,
აღარც მოსავალია, აღარც სიხარული,
მჭადიც არავის აქვს გამოსაცხობი,
ყველა გალარიბდა, არული, არული.
დაყრუებულია პატარა ეზოები.
ყანებში დაიბნა ქარისგან ზვინები.
შუკაში მიჩოჩავს მოხრილი თეძოები
და სოფლის ჭვართან ურემი დგას დანასვენები.
სამრეკლოც დაიქცა და ზარები აღარ ზარობენ.
აღარც მთავრობაა ჩვენით კმაყოფილი.
ჩვენში შემოხედვა ყველას ეზარება.
მიიპარება
ორღობეში ჩვენი სოფელი.

### რუსთაველი

პოემიდან „შავი ვარსკვლავი"

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები?
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის ულვთო თარეში?
დიდი დავითი, თამარი და კახთა ბატონი.
მოურავი და სოლომონის გამრისხანება.
გრემი. იყალთო. სიონი და წმინდა ათონი.
ქართლის შუძუზე დაწრეტილი თათრის ხანები, —
მათ ხსენებაზე დავიწყება დაიბანაკებს.
ეზ ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა:
საქართველოს ბედს შოთა-ღმერთი მარტო განაგებს.
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.
და როცა ქართლი სასიკვდილოდ დაისუდრება
და მის გონებას მოაწვება ცხელი ანთება,
როცა ივერი გასახმობად გაიფუთრება
და მისი ჭიში ქვეყნით-ქვეყნად გაიფანტება, —
მაშინ ქვეყანა მარტო შოთას გაახსენდება.
ანაფორაში ის დადგება უფლის წინაშე.
საქართველოდან მოწყვეტილი ის აინთება
და საქართველოს გაანათებს პალესტინაში.
რუსთველის ხატთან მე ვაგდივარ ხელგაპაწრული
და უკვდავ სახეს გაპაწრული მე ვევედრები:
მიიღე გული, სიყვარულით გადაპასრული,
მფარველო ჩემო, შენს სიყვარულს რა შეედრება.
შემდეგ შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე,
უფლის ბაღიდან რომ დასწურეს შხამის მტევნები.
ვილოცებ მათზე, ავტირდები პოეზიაზე
და ნატირალი კვლავ სიყვარულს დავედევნები.

### საქართველოს მზიან სერებზე

პოემიდან „შავი ვარსკვლავი"

დაჭბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გაჭყვები ჩქარა —
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარად.

გადამეშლება წარსული დღენი,
პოეზია და ცივი თითები.
გადამიარენ ვით ამორძლები
ამბები, ზღვებით განადიდები;

მაშინ გავიწევ ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გავაქორებ
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ...

### სიყვარულს

ეგვიპტიდან მოტანილი ყალიმუს,
ატირება დავრდომილი რითმების.
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნაღველი ეღირსება მალამოს.

დამავიწყდა ქვეყანაზე რაც არი —
მეგობრება, სიხარული, სიამე.
ჭრილობანი გულზე დამესია მე,
რაც ავაგე შენი ტრფობის ტაძარი.

შენ განხულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს,
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივიღებ რჭულს სამაჭმადიანოს.

უშენობით ვინ მიხილოს მცინარი,
შენს გადაღმა ქვეყნად რა დამრჩენია —
სამულავშიაც ჩემი გული შენია,
შენ გეძახი ფხიზელი თუ მძინარი.

გეძახი და კი ვერ გაგეშხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ღილები —
ღვთისმშობელო, მიმინოთი ცხენზედა.

### ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი

შემახის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა,
შუაღამისას დასძრა შავი ყარაბახული;
და თბილისამდე ბედაურმა ორბის ფრთიანმა
გასცვითა ნალი ამ დღისათვის შემონახული.

არც ღამე იყო, მაგრამ თითქოს არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხენი,
და უმალ, თუმცა ფეხზე დგომა უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგინა ხურჯინით ძღვენი.

გადასცა წიგნი, შეისწორა ხანჯალი ბასრი,
ლასწვდა ამანათს — მოარიდა ლაპარაკს ყური.
მან ამოიღო გაფერილი სპილენძის კასრი,
მერე წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო, ჰაჯი მურატის".

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი დააბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისუდრა ტკბილი ტაროსი.
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა, გასჭრა დარბაზი:
„ჭკუამ დალუპა ეგ ბარბაროსი".

შემდეგ წაილეს პრისტავებით, მარშით, ურათი,
ვითომ დღე იყო მილწევების ამომწურავი,
და მოედანზე დადგეს თავი ჰაჯი მურატის —
სისხლში, სპირტში და ლეკერტიან ცრემლში მცურავი

მაგრამ ჭიუტი ნასროლ ტყვიას აქაც ითვლიდა,
იქ, ნუხის ტყეში, ხმალს იქნევდა მკვდარი სხეული,
პეტერბურგისკენ ფელდეგერი ცხენებს იცვლიდა,
მიჭქროდა სისხლი, დაღესტნიდან გადმონთხეული.

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული ჭპოვა ნათესი,
და ვორონცოვიც, სხვას რომ წინათ აიმედებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიაო მოღალატესი.

მაშ ვინ იყავი?.. რა იყავი? მაშ, რაღა გქვიან,
აქაც და იქაც, მოჭრილო თავო.
ხუნძახელ ჰამლეტს რად გინდოდა, რომ გაჩნდი გვიან
გაორებული, უფსკრულებში ჩაშლილო მთაო.

აქედან ვხედავ, ამბობს იგი: ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარცხით,
მაგრამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით.

### მოგონება

პოემიდან „შავი ვარსკვლავი"

ქარია, სწივა.
ისეთი ზამთარია.
ქარია. ავდარია.
პოეზიას სცივა.
ქუჩაზე მიჭქრიან
მოღუნული კაცები.
ფიქრია —
მოსატაცები.

### წაგებული ბიოგრაფია

ვიყავი მარად ულარიბესი,
მქონდა სიმართლე და გული თბილი,
გამაჩნდა მარტო ძაღლი ჩიბისი,
დამშახარებდა მასთან სირბილი.
დიდხანს დამქონდა გული სოველი,
გული ნაწყენი და გასრესილი.
მიდგა სიცივე ცაუთოველი.

## უკვდავი სახელები

**იმ ავადმოსაგონარ 1994 წლის 5 აპრილს, როდესაც ქართველი ხალხის მშვენება, სწორუპოვარი მედეა ჯაფარიძე მიიბარა დიდუბის მიწამ, იქ თავმოყრილ ზღვა ხალხში პირველად გამოჩნდა წიგნი, რომელსაც ის, ალბათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ელოდა... ეს იყო ცნობილი ქართველი თეატრმცოდნის, პროფესორ ნათელა ურუშაძის შესანიშნავი მონოგრაფია — „მედეა ჯაფარიძე“; სამწუხაროდ მან „სულზე ვერ მიუსწრო“ ადრესატს; თუნდაც რამდენიმე დღით ადრე რომ გამოსულიყო ის, ერთი ტკივილით ნაკლები ჩაჰყვებოდა იმას, ვინც ბევრი ტკივილი დაუამა და უამრავი სიხარული მოჰგვარა მის უთვალავ თაყვანისმცემლებს. გულდასაწყვეტი იმ დღეს სხვაც ბევრი იყო და იმ „სხვა ბევრს“ ერთი ესეც დაემატა, მაგრამ ახლა ამას უკვე აღარაფერი ეშველება!**

**იმ წიგნში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მედეა ჯაფარიძის... „პირად მეგობართა უმრავლესობა არათეატრალია — ექიმი თამარ კონიაშვილი, ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი, ფილოლოგი ნატა ტაბიძე...“ დღეს მედეა ჯაფარიძის ერთ-ერთი პირადი მეგობარი — აკადემიკოსი მალხაზ აბდუშელიშვილი — ჩვენი სტუმარია. ჩვენ ვთხოვეთ პატივცემულ მეცნიერს გაეზიარებინა თავისი მოგონებები სახელოვან ქართველ მსახიობზე, რასაც ის სიამოვნებით დათანხმდა. ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს ამ მოგონებებიდან.**

# უქრობი შარავანდედი

ცოდო გატეხილი სჯობს, ხოლო ფიცი — გაუტეხელი.. ვიცი, მაგრამ ჩემდა უნებურად მოხდა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და საოცარი რამ: როცა მე გავკადნიერდი და მედეა ჯაფარიძეზე საჯაროდ სიტყვის თქმა გადავწყვიტე, ჩემ თავს ფიცი მივეცი — საერთოდ არ მეხსენებინა მისი განთქმული სილამაზე — აბა, ამას რა ხსენება და რა თქმა უნდა — ეს ყველამ იცის და მას ვერც ვერაფერს დაუმატებ და ვერც ვერაფერს დააკლებ! მე კი არა ყოვლის შემმუსვრელმა და გამანადგურებელმა დრომ და ჟამმა ვერაფერი დააკლო მას; მაგრამ მოხდა — მეთქი საოცარი რამ: რასაც შევხედე, რასაც შევეხე, საითაც მივდექი და საითაც შევბრუნდი — ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში თვალი მომჭრა მისი საოცარი სილამაზის ელვარებამ. ფიცი გაბზარულ სარკესავით გატყდა და ამ გატეხილი სარკის ყველა ნამსხვრევიდან ისევ და ისევ... — ღმერთო დიდებულო! ნუთუ არ შეიძლება ამ ჩინებულ მსახიობზე, დიდებულ მოქალაქესა და ღვთისნიერ ადამიანზე სილამაზის გარეშე ღირებული რამ თქვა? ნუთუ მართლა ასე თვალისმომჭრელია მისი სილამაზე, რომ ყოველივე დანარჩენი ჩრდილში ექცევა?.. ნუთუ მართლა?!..

არავითარი ნუთუ! არ შეიძლება — მორჩა და გათავდა!!.. მე, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არ შემიძლია ეს! მე კი არა, ვერც გენიალურმა რუსთაველმა, ვერც დიდებულმა ჩახრუხაძემ და, საერთოდ, ვერც ერთმა ქართველმა ვერ შეძლო ეს მზისსადარი თამარის მიმართ, თუმც თამარ მეფეზე სხვაც ბევრი რამ იყო სათქმელი და ითქვა კიდეც. არა, თვალისმომჭრელ სილამაზეზე თვალს ვერ დახუჭავ და ვერც უჩუმრად აუვლი გვერდს. გახსოვთ ტიციანი?! —

„ნეტავ არ მქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!...“

ნეტავ მართლა!.. მაგრამ რადა, რად ხდება ასე?!.. ალბათ, აქ რაღაც სხვა არის საგულისხმო და საფიქრელი! შეიძლება ის, რომ სილამაზე ხშირად ფარავს სხვა დანარჩენს, ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას და ამიტომ ძალიან მძიმე და ძნელი სატარებელია ეს დალოცვილი ამ ქვეყანაზე?!.. შეიძლება!.. ყოველ შემთხვევაში, ჩემს სამშობლოს ძალიან ძვირად დაუჯდა ის!.. ამ სილამაზის ხელში ჩაგდება სურდათ უხსოვარი დროიდან ურიცხვ მტაცებლებს: უგუნურებსა და გონიერებს, ბარბაროსებსა და განათლებულებს, მამაცებსა და ლაჩრებს. რას იზამ, სილამაზე ყველას სათავისოდ უნდა და ამქვეყნად კი არც ისე ბევრია ეს დალოცვილი, რომ ყველას ჰყოს, ყველას თანაბრად გაუნაწილდეს. ეეჰ, ვინ იცის, საქვეყნოდ განთქმული რომ არ ყოფილიყო საქართველოს სილამაზე და ქართველი კაცის ფიზიკური შნო და ლაზათი, იქნებ ჩემს სამშობლოსაც „მშვიდობა ენახა“ და არც ასე ულმერთოდ გაყიდულიყო ქართული სილამაზე სტამბულისა და ისპაჰანის, ქაიროსა და ბაღდადის, შახჯანაბადისა და მადრასის ბაზრებზე? სხვებს ვალამაზებდით და ვაკეთილშობილებდით ჩვენი სისხლითა და ხორცით — ჩვენ კი დღიდან — დღემდე, წლიდან-წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე — გვეშრიტებოდა სილამაზის ეს ფასდაუდები დვრიტა — რადგან რჩეულებს, უკეთესებს და უმჯობესებს გვართმევდნენ, გვტაცებდნენ, გვგლეჯდნენ და გვიყიდდნენ. მე რომ არა ვთქვა რა, საამისოდ თვით დიდი ჩარლზ დარვინი, რობერტ კოხი, რუდოლფ ვირხოვი, ფრიდრიხ რატცელი, ილია მეჩნიკოვი და სხვაც მრავალი შემიძლია მოვიშველიო, მაგრამ, საბედნიეროდ, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ხელყოფისა, მთლიანად არ დაიწრიტა წყაროსთვალი და მიხეილ ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, ჩვენ დღესაც შეგვრჩენია ჯიში: „ჩვენი თვალი, ცხვირი, პირისახის მოხაზულობა, ტანის ალნაგობა, ხიარულის გადანაკრავი და მიხვრა-მოხვრის იერი — ყველაფერს რაღაც გამოუთქმელი დაღი აზის, რაღაც ხელშეუხებელი ბეჭედი აკრავს, — ჩვენებური, აქაური... ჩვენებური რომ ხელს გაიშვერს, ქორის ფრთის მონაქნევი გეგონებათ. ერთს რომ შემოგხედავთ, არწივის თვალი გაგახსენდებათ. მის სიარულში ვეფხვი მოგელანდებათ, მშვიდობაში — ჯეირანი, რისხვაში კი — ფოცხვერი“.

მაგრამ იქნებ ჩვენ გვეჩვენება და ჩვენ გველანდება ასე?.. „ყვავილების მბრძანებელო, კაცთა მზერის დამატკბობელო, ქრისტეს მხევალო, საქართველოს ქალწულებზე უფრო ლამაზო“... უმეტესი რომ ველარა მოიგონა რა, ასე მიმართა ულამაზეს ასულს დიდი ფრანგი მწერლის რენე დე შატობრიანის გმირმა. მაგრამ თუ ეს რომანტიკოსი მწერლის გაზვიადებაა — „... წინააზიისა და კავკასიის მთებიდან, სამხრეთ ევროპის მთიან ქვეყნებზე გადავლით, გავრცელდა ოდესღაც ერთიანი, არიულამდელი მოსახლეობა, რომელთა უკანასკნელ შთამომავლებს წარმოადგენენ ქართველები — მსოფლიოში ყველაზე უფრო ლამაზი ხალხი“. ამას რაღა ვუწოდოთ?! ამას ხომ მეცნიერი, ცნობილი გერმანელი ანთროპოლოგი იოჰან რანკე ბრძანებს. აქ ამისი დრო და ადგილი არ არის, თორემ სხვა რომ არა იყოს რა, მე კიდევ ერთ დიდ ფრანგ მწერალს — ალექსანდრე დიუმას გავიხსენებდი და კიდევ ერთ ცნობილ გერმანელ მეცნიერს ჰანს ციმერმანს დავიმოწმებდი, რომელმაც სილამაზის დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლუსებზე ავსტრალიელი და ქართველი ქალი დააყენა, ხოლო მთელი დანარჩენი კაცობრიობა მათ შორის მოაქცია. ასეთი მაგალითების მოტანა მე უსასრულოდ ბევრისა შემიძლია, რადგან ფიზიკური ტიპის შესწავლა ჩემი ხელობაა, მაგრამ იმის სამაგალითოდ, რომ ულამაზესი ქვეყნისა და ულამაზესი ხალხის შვილები ვართ, მგონი, ესეცა კმარა; ახლა ესეცა ვთქვათ: რა მოგვიტანა ამ სილამაზემ და როგორ მოვიტანეთ ის დღემდე. ამაზედაც შეიძლება უსასრულოდ წერა და უსასრულო მიზეზების დასახელება — მთავარი კი, ჩემი აზრით, მაინც ერთია: მოგვიტანა ომი და მოვიტანეთ ომით! ამასწინათ, ამერიკელი გერონტოლოგები მეუბნებოდნენ: განუწყვეტელმა განსაცდელმა მოახდინაო თქვენში, ალბათ, იმ გენების გადარჩევა, რომლებიც ამჟამად სიცოცხლის ხანგრძლივობაში ვლინდებიანო. არ ვიცი! შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ამაზე მეცნიერებმა იმსჯელონ, ჩვენ კი ჩვენი ვთქვათ: რამდენიმე წლის წინათ ერთი ქართველი მწერლის საზღვარგარეთული შთაბეჭდილებები წავიკითხე, მისი დანიაში თუ ბელგიაში ყოფნა „ჭიქა ყავის დღეს“ დაემთხვა, მათ კი ტრადიცია ჰქონიათ ერთი: ამ დღეს ვისი კარიც არ უნდა შეაღოთ, ფინჯან ყავას დაგალევინებენ, და ჩვენს თანამემამულეს ჰკითხეს თურმე, როგორ მოგწონთო ეს ჩვეულება.

— ჩემთვის ძნელიაო მისი შეფასება, რადგან მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც 364 დღე ღიაო ყველა კარი და ჭიქა ყავით კი არა, ღვინითა და პურმარილით უმასპინძლდებიანო სტუმარს.

საერთოდ, ჩვენს სტუმართმოყვარეობაზე ახლა ზღაპრებს ჰყვებიან. ეგ მართალია — ქართველმა კაცმა სტუმრის დახვედრა იცოდა და იცის, მაგრამ მე მაინც მგონია, ქართველმა კაცმა მტრის დახვედრა კიდევ უფრო უკეთ იცოდა, ვიდრე სტუმრისა; დიახ, მტრის დახვედრა მართლაც საზღაპრო იცოდა ქართველმა კაცმა და ალბათ სწორედ ამან მოიყვანა ეს ერთი მუჭა ხალხი დღევანდელ დღემდე და მის სტუმართმოყვარეობაზე მთელი ქვეყანაც აალაპარაკა. გახსოვთ ილია?..

„ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ,
რა ვქნა, — ასი ერთზე მოვა,
იმას ვნუხვარ და ვვალალებ.
ჩვენი კაცი ერთი ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება...“ და სხვ.

ან აღა-მაჰმად-ხანის სიტყვები:

„ნუთუ მართლა ფიქრობს
ერეკლე-ხანი ამ ერთი მუჭა
ჯარით გადამიღობოს
თბილისისკენ გზა?!..“

ფიქრობდა, და მერე როგორ ფიქრობდა! სწორედ იმ ერთი მუჭა ჯარით სულ კუდით ქვა ასროლინა დაუპატიჟებელ სტუმრებს! მერე... მერე ყველამ იცის რაც იყო მერე — სანამ უკანასკნელ არაგველსა და არაარაგველს პირში სული ედგა, საჭურისმა ფეხი ვერ შედგა თბილისში. აი, ასე იბრძოდნენ და იცჰქდნენ უთანასწორო ბრძოლაში თავის ლამაზ ქვეყანას და თავის ლამაზ ხალხს ქართველები, მთელი თავისი არსებობის მანძილზე. გახსოვთ ლადო ასათიანი:

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ
ამ ლამაზი
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი
შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ
ვთქვათ — მარაბდა!“

ვიღაცამ ჩვენს სამშობლოს „სილამაზისათვის ჯვარცმული მხარე“-ც კი უწოდა; ალბათ, არის ამაში სიმართლის დვრიტა.

ერთხელ, რუსეთისკენ მცირე ამალით მიმავალ არჩილ მეფეს მცირე ყაბარდოში შაჰისა და შამხალის ბრძანებით გზა გადაუღობეს ადგილობრივმა თავადებმა, მაგრამ... აბა, ერთი ყური უგდეთ რას ამბობს ამის შესახებ მარი ბროსე: „არჩილმა საკვირველი ვაჟკაცობა გამოიჩინა, მაგრამ მაინც იმავე ღამეს შეიპყრეს და დაატყვევეს. გაათავისუფლეს არჩილი მხოლოდ ჩერქეზთა ქალების თხოვნით, რომელნიც განცვიფრებულნი იყვნენ არჩილის სილამაზითა და ვაჟ-კაცობით. ჩერქეზთა ქალებმა მოსთხოვეს თავიანთ ქმრებს მისი განთავისუფლება“. სხვებს შეიძლება არც კი მიექციათ ყურადღება ამ პაწაწინა დეტალისთვის, მაგრამ...

ფრანგებმა იციან სილამაზის ფასი.

ასეა თუ ისე, მძიმე იყო თუ მსუბუქი სილამაზის ჯვრის ტარება ამ ქვეყანაზე, დღემდე მოვედით და მოვიტანეთ ჩვენი თავი ისეთებად, როგორებიცა ვართ და მგონი, არაკეთილმოსურნის თვალით თუ არ შეხედავენ, — დღესაც შეეხედება ქართველს... და მგონი, არა მარტო შეეხედება, არამედ...

ერთხელ, ახლადშეუღლებული მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ თურმე — სანამ თავისუფალ მაგიდასთან მივიდოდნენ მთელი დარბაზი მათკენ შემობრუნდა, ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა, ჯერ აღტაცების ხმები გაისმა, მერე კი დარბაზში ერთობლივმა ტაშმა იქუხა. დიახ, სილამაზეს დაუკრეს ტაში! ზღაპარს ჰგავს, არა?!.. ცხადია, ჰგავს, მაგრამ ზღაპარი არ არის! — თუ დაუჯერებლად მიგაჩნიათ, ჰკითხეთ ჩემს კოლეგას, ექიმ ციალა თაბუკაშვილს, ის თვითონ ესწრებოდა ამ სცენას, თვითონაც არავის უდებდა ტოლს, მაგრამ აღტაცება ვერც მან დაფარა, მგონი.

ესეც ასე.. ფიცი დავდე მედეა ჯაფარიძის სილამაზეს არ ვახსენებ-მეთქი, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე ფეხი დამისხლტა და ნახეთ, საით გადავიჩეხე... ახია ჩემზე!.. ციფრებით გაწამებული კაცი რომ სახეებით აზროვნებას დაიწყებს, არამარტო ფეხს წაიკრავს — უარესიც მოუვა! მე იმით მაინც მინდა ვიმართლო თავი, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის, ესეც მისი სწორუპოვარი სილამაზის ბრალია და ამიტომ მეტისმეტად მკაცრი ნუ იქნებით ჩემს მიმართ.

დიახ, იმას ვამბობდი „ქართველები ყველანი ლამაზები არიან“-მეთქი! არა,



მედეა ჯაფარიძე.
მხატვარი ჭ. მაღალაშვილი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ხოსე ორტეგა ი გასეტი

# ესსე ესთეტიკურ თემებზე წინასიტყვაობის სახით

თარგმანი ეძღვნება გივი გეგეჭკორს

(დასასრული)

## 6. სტილი, ანუ მუზა

დაბოლოს, გამოსათქმელი დაგვრჩა ერთი მოსაზრება. თითქმის ყველა ესთეტიკური თეორია, ზოგი ასე და ზოგი ისე, ხელოვნებას განსაზღვრავს როგორც ადამიანის სულიერების, სუბიექტის გრძნობების გამოხატულებას. აქ არ მოვყვები დავას ამ ფართოდ გავრცელებული და ავტორიტეტული თვალსაზრისის მომხრეებთან. აღვნიშნავ მხოლოდ, რა განსხვავებაა მასა და ზემოთ გადმოცემულ ჩემს თეორიას შორის.

ხელოვნება არამარტო იმნაირი გამოხატულებაა, რომელშიაც გამოსახატავი საგანი წინასწარ არსებობს რეალურად, ჯერ კიდევ გამოუხატავი სახით. ჩვენ ეს-ესაა დავასრულეთ მეტაფორული მექანიზმის მოკლე ანალიზი, რომელიც ცხადყოფს, რომ გრძნობა პოეტის შრომის მიზანი როდია. ჩვენს მაგალითში ესთეტიკური ობიექტი, პირდაპირი მნიშვნელობით, ის საგანია, რომელსაც „კვიპაროსი-გრძნობა" ვუწოდეთ. გრძნობა ხელოვნებაში მხოლოდ ნიშანია, გამომხატველობითი საშუალება, და არა ერთგვარი ფენომენი, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნას. ესაა siu generis (თავისებური (ლათ.) მასალა ახალი სხეულისთვის. „დონ კიხოტი" არც ჩემი გრძნობაა და არც რეალური ადამიანის ხატება. ესაა ახალი საგანი, რომელიც ესთეტიკური სამყაროს ატმოსფეროში ცოცხლობს, ერთნაირად რომ განსხვავდება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური სამყაროსგანაც.

ენის ექსპრესიული ფუნქცია, არსებითად, ისაა, რომ ხატებათა მეშვეობით (სიტყვის ბგერითი თუ ვიზუალური ხატებანი იგულისხმება) გამოხატოს სხვა ხატებანი — საგნების, ადამიანების, სიტუაციების თუ გრძნობებისა; ხელოვნება კი პირიქით, გამოხატულებების საშუალებად იყენებს გრძნობებს (როგორც განცდის პროცესს) და ამის წყალობით ისეთნაირად წარმოგვიჩენს საგნებს, თითქოს ისინი თვითგანხორციელების პროცესში იყვნენ ჩართულნი.

შეიძლება ითქვას, რომ თუ ენა გველაპარაკება საგნებზე, მათკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას, ხელოვნება მათ რეალიზაციას ახდენს. შეიძლება ხელოვნებას შევუნარჩუნოთ იმის უფლება, რომ გამოსახულების ფუნქცია ჰქონდეს, მაგრამ, ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გამოხატულებას ორი სხვადასხვა უნარი აქვს: ალუზიური და მარეალიზებელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: ხელოვნება, თავისი არსით, ირეალიზაციაა. ჩვენ ზოგჯერ მხატვრული ტენდენციების იმნაირ კლასიფიკაციას ვახდენთ, რომ ზოგს იდეალისტურად, ზოგს კი რეალისტურად ვსახავთ, მაგრამ ყოველთვის ურყევი რჩება ის ფაქტი, რომ ხელოვნება ახალი საგნობრიობის შექმნაა, რეალურ საგანთა მოსპობა, მათი წაშლა. ამიტომ ხელოვნება ორმაგად ირეალურია: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის არ არის რეალური, მისი საგანი რაღაც ახალი, რეალობისაგან განსხვავებული გახლავთ; და მეორეც, იმიტომ, რომ ახალი ესთეტიკური საგნის ერთ-ერთი ინგრედიენტია რეალობის მოსპობა, წაშლა. როგორც ერთი პლანი მხოლოდ მეორის შემდეგაა შესაძლებელი, ისე მშვენიერების საუფლოც მხოლოდ რეალობის მიღმა იწყება.

მეტაფორის ანალიზმა გვიჩვენა, თუ როგორ ქმნიან ჩვენი გრძნობებისგან გამომსახველობით საშუალებას, რისთვისაც უპირატესად იყენებენ იმას, რაც გამოუთქმელია მათში. მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ეს ეფექტი, სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა ჩვენი ბუნებრივი ხედვის გადანაცვლება, რის შედეგადაც იზრდება და გადამწყვეტი ხდება ის, რაც, ჩვეულებრივ, შეუმჩნეველი რჩება, — საგნის ჩვენეული გრძნობა.

საგნის რეალური სტრუქტურის დაძლევა თუ წაშლა და მისი ახალი სტრუქტურა (ჩვენი მგრძნობელობა) ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა.

საგანგებო ხერხი, რომლითაც თითოეული პოეტი საგნის დერეალიზებას ახდენს, — ესაა მისი სტილი. მაგრამ, მეორეს მხრივ, დერეალიზაცია ხომ მარტოოდენ მაშინაა შესაძლებელი, როცა ხატების ობიექტური მხარე სუბიექტურს (მგრძნობელობას) ექვემდებარება, როცა ობიექტური ჩვენი „მე"-ს ნაწილად იქცევა. ახლა გასაგები ხდება, რაოდენ მართალია გამოთქმა: „სტილი თვით ადამიანია".

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს სუბიექტურობა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც საგანთანაა დაკავშირებული; რომ სუბიექტურობა რეალობის დეფორმაციის შედეგია. სტილი „მე"-ს ინდივიდუალობიდან იღებს დასაბამს, მაგრამ საგნებში კი ვლინდება.

ყოველი პოეტის „მე" ახალი ლექსიკონია, ახალი ენა, რომლის მეშვეობითაც ის გვიძლევის აქამდე უცნობ, „კვიპაროსალის" მსგავს საგნებს. რეალურ სამყაროში საგნები შეიძლება უფრო უმალ არსებობდნენ ჩვენთვის, ვიდრე მათი აღმნიშვნელი სიტყვები. ჩვენ შეგვიძლია ვხედავდეთ და ვეხებოდეთ საგნებს ისე, რომ არ ვიცოდეთ მათი სახელი. ესთეტიკურ სამყაროში სტილი, ერთსა და იმავე დროს, სიტყვაცაა, ხელიც და გუგაც: მხოლოდ მასში და მისი მეშვეობით შევიცნობთ ჩვენ რომელიღაც ახალ არსებებს. რასაც ერთი პოეტის სტილი გვაუწყებს, იმას ვერ გვეტყვის მეორე. არის სტილი სიტყვათა ულევი მარაგით, თითქოს ფარული ქვისსამტვრევიდან ურიცხვი იდუმალება ამოჰქონდეს ქვისმთლელის ხელს. თუმცა, შესაძლებელია სტილიც, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მოიცავს, მაგრამ მათი წყალობით ჩვენს თვალწინ იშლება მშვენიერების მომხიბლავი კუთხე, რომლის მსგავსსაც სხვა ვერავინ შექმნის. ყველა ჭეშმარიტი პოეტი, სიტყვაძუნწიც და სიტყვაულევიც, ერთადერთია და განუმეორებელი. სწავლული შეიძლება მისმა შემცვლელმა მეორე სწავლულმა დაჩრდილოს, მეორე სწავლული აღემატოს; პოეტს კი ვერავინ ვერასოდეს აღემატება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ხელოვნებაში ყოველგვარი მიბაძვა უადგილოა. ან კი რა საჭიროა იგი? მეცნიერებაში ფასეულია სწორედ ის, რაც შეიძლება განმეორებულ იქნას, პოეტური სტილის ჭეშმარიტი ღირებულება კი მისი ერთადერთობა გახლავთ.

ამიტომ ლამის რელიგიური მღელვარება მიპყრობს, როცა ახალგაზრდა პოეტების კითხვისას მათი კეთილხმიერების, ჰარმონიულობის, სიზუსტის და სხვა ღირსებათა მიღმა ანაზდეულად მომესმის ბავშვის ყვირილი, ყვირილი ახალშობილი სტილისა. ის გვაუწყებს, რომ ჩვენი სამყარო გაფართოვდება.

## 7. „გამვლელი", ანუ ახალი მუზა

სწორედ ასე დამემართა, როცა მორენო ვილიას წიგნი წავიკითხე. მას აქვს ლექსი „ალმოდებული ხელვა". გულმოდგინედ უნდა წაიკითხო. ეს წმინდა პოეზიაა. მასში არა არის რა, პოეზიის გარდა. შიგ რეალობის ის მინიმუმიც კი აღარ დარჩა, რასაც ინარჩუნებენ სიმბოლისტი პოეტების ლექსები, საგანთაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს რომ გადმოგვცემენ. აქ აღარც საგნებია და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც შთაბეჭდილებები (რომლებსაც ჯერ კიდევ შეიცავენ აღწერილობითი ხასიათის ლექსები, ვილიას კრებულში წინ რომ უსწრებენ ამ ლექსს).

ფიზიკურ თვისებათა შორის არის ერთი, სადაც უკვე იგრძნობა ირეალური, — ეს სურნელება გახლავთ. მის აღსაქმელად თითქოს ჩვენსავე თავში უნდა დავინთქათ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ უნდა გავემიჯნოთ გარემომცველ სინამდვილეს, რომელიც გვიმორჩილებს და რეალობის უტილიტარულ ნესრიგში გვრთავს. ამიტომაც თვალებსა ვხუჭავთ და რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქავთ, რათა ნამით მარტოდმარტო დავრჩეთ სურნელთან. რაღაც ამგვარია საჭირო სურნელებისგან ნაქსოვი ამ ლექსის გასაგებად.

ამ ტევრის სიღრმიდან ჩვენ გვილიმის ახალი მუზა. ის ჯერ კიდევ იზრდება, და ჩვენ დაველოდებით იმ დღეს, როცა სიმწიფეს მიაღწევს.

ჩვენს გადახრუკულ უდაბნოში იშლება ვარდი.

ესპანურიდან თარგმნა

ბაჩანა ბრეგვაძემ

# უქრობი შარავანდედი

მე-7 გვერდიდან

ეს მე არ მითქვამს; ეს იმავე პანს ციმერმანმა ბრძანა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ ლამაზ ხალხში ულამაზესი იყო, ეს — ქართული ტრადიცია რომ მოვიშველიოთ — ნიშნავს იყო ერისთავთ-ერისთავი, ან უფრო მეტიც — მეფეთ-მეფე ე.ი. რჩეულთა შორის რჩეული. ეს კი მძიმეა, ძალზე მძიმე, შეიძლება აუტანელიც კი.

ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები, დავდივართ ამ ქვეყნად და არავინ გვაქცევს ყურადღებას, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ყურადღებას. აბა ახლა ასეთი რჩეული წარმოიდგინეთ — მას ყველა დაინტერესებული და დაძაბული ადევნებს თვალს — ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის: მამაკაცებში ის აღტაცების ან შურისძიების გრძნობას ბადებს, ქალებში კი ისევ აღტაცებისა ან შენიღბული შურის გრძნობას — მაგრამ არავის, თითქმის არავის ტოვებს ის გულგრილად და განურჩევლად თავის მიმართ; კიდევ ერთი სიზუსტე: რჩეულის მიმართ, იქნებ ვინმე დარჩეს კიდეც გულგრილი, — რა ვუყოთ, ზოგს მოეწონება და ზოგს არა, მაგრამ რჩეულთა შორის რჩეულის მიმართ არავინ, კატეგორიულად არავინ რჩება გულგრილი და ინდიფერენტული მიუხედავად სქესისა, ასაკისა, განათლებისა და გემოვნებისა. და დადის ეს რჩეული ჩვენს შორის და ძალაუნებურად იქცევს ჩვენს ყურადღებას — ყველას, განურჩევლად ყველას აინტერესებს — რა ქნა, რა თქვა, როგორი იყო, რა ეცვა, რა ეხურა, ვის შეხედა. ვის არ შეხედა, ვის გაუღიმა, ვის არ გაუღიმა, ნაბიჯი როგორ გადადგა, მარაო როგორ ეჭირა, რა იყიდა, რამდენი გადაიხადა და ათასი სხვა — რა, როგორ, როდის, რატომ და სხვა და სხვა მისთანანი. და რა ქნას ამ რჩეულმა რჩეულთა შორის, სულ როგორ ილაპარაკოს სიბრძნე, სულ როგორ იყოს მისაბაძი და აღმაფრენი? — სულ სიბრძნეს არც აინშტაინი ბრძანებდა, ალბათ, და სულ მუდამ მაღლა არც არწივი ფრენს, მაგრამ ყველას ყველაფერი ეპატიება, რჩეულთა შორის რჩეულს კი — არაფერი!

ან თუნდაც მეორე ვთქვათ: ერთგან მიხეილ ჯავახიშვილი ბრძანებს: „... „ათას სისულელეს ეროშავდი — ისეთ მსუბუქ სისულელეს, რომელიც ჩემიხნის ადამიანს მხოლოდ ლამაზ ქალთან საუბრის დროს ეპატიება"-ო. კი, ბატონო, ამ „ჩემიხნის ადამიანს" ეპატიება, მაგრამ რა ქნას ამ ლამაზმა ქალმა, ამ სისულელეებს რომ ისმენს დღენიადაგ; რა ქნას, თუ ის უბრალოდ ლამაზი კი არა, ულამაზესია. მასთან ეს „ჩემიხნის ადამიანები" უბრალოდ სისულელეებს კი არა, ენისგან უთქმელ სიბრიყვეებს როშავენ ალბათ. ვისგან მოისმინოს გონიერული სიტყვა, როგორ გაარჩიოს გონიერი და უგუნური, ჭკვიანი და უჭკუო, ბრძენი და სულელი? მე არ ვიცი და ალბათ არც მან იცის ეს და ამიტომაც არის, რომ ყველა ლამაზ ქალს ყველა ჭკვიანი კაციც კი... ღმერთო, მაპატიე! იქნებ უგუნურებას ვამბობ, მაგრამ, როდესაც „ჩემიხნის ადამიანი" მედეა ჯაფარიძის წინაშე დგას, მას ალბათ ყველაფერი...

ესეც ესე... მგონი კიდევ ერთხელ დამისხლტა ფეხი!.. ისევ მისი სილამაზე!.. მე იმდენჯერ გავტეხე ფიცი, რომ შეიძლება ვინმემ გაიფიქროს კიდეც: „ეს კაცი უიმედოდ შეყვარებული ხომ არ არისო?" არა, ბატონებო! მედეა ჯაფარიძე ჩემი ახლო ნათესავია და თანაც მამიჩემის ნათლული, მაგრამ ეს მაინც არ მიშლის ხელს, მისი შეუდარებელი სილამაზის მეც ერთ-ერთი აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი ვიყო. გახსოვთ გოლზუორთი: „-მამიკო, როგორია ვენერა ანადიომენელი? (ეკითხება პატარა ჯონი მამამისს — ჯოლიონ ფორსაიტს).

— როგორიც დედაა შენი!

— ოო, ესე იგი, ის ალბათ..."

ალბათ, ჭეშმარიტ სილამაზეს ვერავითარი ნათესაური, თუ მტერმოყვრული კავშირ-ურთიერთობანი ვერ უცვლიან იერ-სახეს; ჭეშმარიტი სილამაზე ყოველივე ამაზე მაღლა დგას და კვარცხლბეკად მას ჩვენი გულწრფელი პატივისცემა, თაყვანისცემა, აღტაცება და აღფრთოვანება უნდა ედოს და უდევს კიდეც, თუ შურისა და უხამსობის ნაჩრდილს არ მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ ეს არც უნდა მივიღოთ, რადგან საცა ქრისტეა — იქ იუდაც არისო, უთქვამს ბრძენ ქართველს და კარგადაც უთქვამს.

ჩვენ კი ჩვენი განვაგრძოთ.

ეს ჩემგან წამოწყებული და მიზანსაცდენილი (ანდა იქნებ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მიზანსაუცდენელი?!) სილამაზის აპოლოგია რომ დავამთავრო, კიდევ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა: ქალის სილამაზე, ისე როგორც ყველაფერი ადამიანში, ასაკობრივ ცვალებადობას განიცდის: ჩნდება, იზრდება, იფურჩქნება, მატულობს, კლებულობს და ბოლოს ქრება. ასეთია ბიოლოგიის დაუნდობელი, რკინის კანონი. ამიტომაც არის, რომ ზოგი ბავშვობისას არის მომხიბლავი, ზოგი ქალიშვილობისას, ზოგი კი (ასეც ხდება) ხანში რომ შევა მერე დამშვენდება ხოლმე. მედეა ჯაფარიძე აქაც რჩეულია რჩეულთა შორის: ის პაწაწინა ბავშვიც ანგელოზი იყო, გოგონაც თვალწარმტაცი, მოზარდიც შეუდარებელი, ქალიშვილიც ტოლდაუდები და ქალიც სწორუპოვარი. მას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში მხრებზე ედგა უბადლო სილამაზის უმშვენიერესი, მაგრამ უმძიმესი ტვირთი და არასოდეს, ცხოვრების არც ერთ პერიოდში არ შემსუბუქებია ის, ცხოვრების არც ერთ მოსახვევში არ დაუსვენია, და ცხოვრებაში, ალბათ, არასოდეს მოუსმენია „ჩემიხნის ადამიანისაგან" ჭკვადამჯდარი და გონიერული სიტყვა და მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, ასე იქნება მუდამ; ასე იქნება, მაგრამ მაინც — საკვირველ არიან უფალო საქმენნი შენნი; ის თავისი ნაზი თითების უმსუბუქესი შეხებით ამსხვრევს ანთროპოლოგიის ყველა კანონს და თავისი უკვდავი სილამაზით ამოუხსნელ ფენომენად რჩება.

მეც სწორედ ამ ფენომენს მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება.

(გაგრძელება იქნება)



## სახლი სათამაშოო

# პარადოქსების ათწლეული

### საუბარი მეთექვსმეტე

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკაა, მაშასადამე, ყოველნაირად ცენტრს დაქვემდებარებული. უკვე ხორციელდება რუსეთის კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზე დაუფარავად გაცხადებული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თეატრი უნდა იყოს ხელისუფლების დაკვეთითა და პარტიული მითითებებით მოქმედი პროპაგანდისტი. ხელისუფლებას სჭირდება არა დამოუკიდებლად მოაზროვნე ხელოვანი-მოქალაქე, არამედ მორჩილი შემსრულებელი. აკადემიური თეატრების ნაციონალიზაციაც, მათი გასახელმწიფოებრიობაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

1931 წლის 15 თებერვალს გაზეთ „განათლების მუშაკში" გამოქვეყნებულ კ.მელაძის წერილში „თეატრალურ ფრონტზე უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა", ვკითხულობთ: „გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორმა აკადემიურმა თეატრმა გვერდი აუქციეს დღევანდელ ყოფას. ახმეტელმა აირჩია დუმილის გზა და მარჯანიშვილმა კი საზოგადოების ზღაპრებით კვება... ჩვენ ერთხელ კიდევ მოვითხოვთ „კაკალ გულში" და სხვა მავნე პიესების სცენიდან განდევნას. ჩვენ მოვითხოვთ გვიჩვენონ მასები, დამკვრელები დაზგებთან, ჩვენ გვინდა ვხედავდეთ სცენაზე სოცშეჯიბრების ენთუზიასტებს".

ეს და სხვა ამგვარი მომდევნო წლებშიც იწერება. იმ ოცდაათიან წლებში, როდესაც ასეთი ტრიუმფით გამომზეურდა ქართველ სცენისმოღვაწეთა ხელოვნება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1930 წელს, მოსკოვში, კიდევ ერთხელ მოიყვანა საზოგადოება აღტაცებაში დიდოსტატ მარჯანიშვილის ხელოვნებამ და მანამდე მათთვის უცნობმა, განსაცვიფრებელი, თვითმყოფადი ნიჭის მქონე ახმეტელმა.

1932 წლის 24 აპრილს გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ". ეს იყო მზაკვრულად გაანგარიშებული კიდევ ერთი ნაბიჯი იქითკენ, რომ სახელოვნო ორგანიზაციები უფრო აქტიურად მომსახურებოდნენ საბჭოურ იდეოლოგიას. საბჭოთა ხელოვნების ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად მიჩნეულია სოციალისტური რეალიზმი. სახელწოდება მიგვითითებს, რომ ხელოვნება ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმის სამსახურში უნდა ჩადგეს. მხატვრული მოვლენის შესახებ მსჯელობისას, სულ უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვები: „მავნე", „მავნებელი" და ამით მხატვრულ მოვლენას პოლიტიკური შეფასება ეძლევა. იდეოლოგიურ კონტროლს ბუნებრივად მოჰყვა მხატვრული ფორმის გაკონტროლება. მმართველი პარტია უკვე იჭრება შემოქმედების სპეციფიკურ სფეროში და ზომავს მას არა ესთეტიკური, არამედ პოლიტიკური საზომით. ამიტომ ტერმინი „ფორმალიზმი" უკვე პოლიტიკურ ბრალდებად იქცა. განსხვავებული აზროვნება მტრულ აზროვნებად იყო გამოცხადებული. მძვინვარებს კრიტიკა, რომელიც სტილისტურ ნაკლოვანებებსა და თავისებურებას საბჭოთა წყობილების ღალატად ნათლავს. ღვივდება ცეცხლი საყოველთაო ეჭვმიტანისა და დასმენისა.

ახლოვდებოდა საზარელი 1937 წელი. საქართველოში მან შეიწირა მრავალი გამორჩეული პიროვნება, მათ შორის: მიხ.ჯავახიშვილი, ტ.ტაბიძე, ე.მიქელაძე, დ.შევარდნაძე, ს.ახმეტელი და მასთან ერთად კიდევ რვა მისი ერთგული მიმდევარი რუსთაველის თეატრიდან. არაფრად ღირდა არც ნიჭი, არც ცოდნა, არც შრომა, არც ზნეობა — მხოლოდ ერთგულება და მორჩილება.

ასეთი იყო ის საზოგადოებრივი გარემო, სადაც ცხოვრობდა ამ ათწლეულში თბილისის ის ორი წამყვანი თეატრი, რომლის შემოქმედებაშიც, ცხადია, ყველაზე ნათლად წარმოჩინდა ქართული თეატრის ცხოვრების ეს საფეხური. გავიხსენოთ მაშინდელი შემოქმედებითი გამარჯვებანი და მხატვრული მიღწევები: რუსთაველის თეატრში — ბ.ლავრენიოვის „რღვევა", ს.შანშიაშვილის „ანზორი", ვ.კირშონის „ქართა ქალაქი", გრ.რობაქიძის „ლამარა", შ.დადიანის „თეთნულდი", შილერის „ყაჩაღები", შექსპირის „ოტელო", ახმეტელის ყველა საუკეთესო დადგმა, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი რუსთაველის თეატრს და ქართველი რეჟისორი საუკუნის სახელგანთქმულ რეჟისორთა გუნდს მიაკუთვნა. მარჯანიშვილის თეატრში: ე.ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!", ჟ.გუცკოვის „ურიელ აკოსტა", პ.კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", ზ.ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში", შ.დადიანის „ნინოშვილის გურია" და „ჩატეხილი ხიდი". მათ შორისაა მარჯანიშვილის საუკეთესო დადგმები. მარჯანიშვილის და ახმეტელის გვერდით უკვე დგას რეჟისორთა მომდევნო თაობა: შ.აღსაბაძე, ვ.ყუშიტაშვილი, დ.ალექსიძე და სხვანი. შესანიშნავი ქართველი მხატვრები: ირ.გამრეკელი, დ.კაკაბაძე, ლ.გუდიაშვილი, ე.ახვლედიანი, პ.ოცხელი. კომპოზიტორები: შ.მშველიძე, ის.გოკიელი, ი.ტუსკია, კ.მეღვინეთუხუცესი და სხვანი. ქართული თეატრი უხმობს საუკეთესო ძალებს. შეიქმნა კიდეც სარეჟისორო ხელოვნების ისეთი შედევრები, როგორიცაა მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა" და „მზის დაბნელება საქართველოში", ახმეტელის „ლამარა" და „ყაჩაღები". შედევრები სამსახიობო ხელოვნებისა: ვერიკოს ივდითი და გინატრე, უშანგის ურიელი და ყვარყვარე, ა.ხორავას ანზორ, კარლ მოორი და ოტელო, ა.ვასაძის ფრანც მოორი და იაგო, ვ.გოძიაშვილის ლუარსაბი, გ.შავგულიძის ხარიტონი და კიდევ მრავალი სხვა. ეს სპექტაკლები და სცენური სახეები ქართული თეატრის ოქროს ფონდშია შესული. სამწუხაროა, მაგრამ ისინი შეიქმნა იმ დროს, როდესაც ახმეტელს საქართველოში ბრალს სდებდნენ „პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის, სოციალისტური შინაარსისა და ნაციონალური ფორმის შესახებ სტალინური მოძღვრების დამახინჯება-გაყალბებაში".

ხალხისთვის ყველა ეს საშინელება მაშინ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყოფილიყო ცნობილი. რაც იყო ცნობილი, იმაზე სდუმდნენ — სიმართლის შეტყობის სურვილი, თანაგრძნობის გამოვლინება თვითონვე აიკრძალეს, რადგან ეს უკვე ნიშნავდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. ამგვარი რამ შესაძლებელი იყო მხოლოდ თეატრში და ხალხიც ილტვოდა მისკენ. იქ შეიძლებოდა გეთანაგრძნო ივდითისა და გინატრესთვის, ტაში დაგეკრა თავისუფლად მოაზროვნე ურიელისთვის, მებრძოლი კარლ მოორისთვის... ასე იბრძოდა თეატრი ადამიანის სულის გადარჩენისთვის. ცხოვრებაში კი საკუთარ აზრსა და თანაგრძნობაზე უარის თქმას თან მოსდევდა დანაკლისი ისეთი უდიდესი გრძნობებისა, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა და სიკეთე. ეს აშკარაა იმ დროს პრესის, რადიოსა და საერთო კრებების ლექსიკიდან: დაიხვრიტონ. განადგურდნენ ხალხის მტრები... ვინ? — ერთვნული თეატრალური ფორმების მაძიებელი, უდიდესი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი.

პარადოქსების ამ ათწლეულში ქართულ თეატრს წილად ხვდა ბედნიერება იმისა, რომ მოევლინა კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. ჩატარდა უმნიშვნელოვანესი თეატრალური რეფორმა, რომელმაც ამ ორი დიდი რეჟისორის უმაღლესი დონის სპექტაკლებით ქართული თეატრი ევროპული თეატრის დონეზე აიყვანა და მოაპოვებინა აღიარება საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ეს მოხდა ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში. ათწლეულის დასასრულისთვის არც ერთი მათგანი აღარ იყო — მარჯანიშვილი 1933 წელს გარდაიცვალა, ახმეტელი 1937 წელს დახვრიტეს.

**ნათელა ურუშაძე**

## ახალი საზოგადოება

# ფრანკოფონია —

## მშვიდობა, ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა

ფრანგმა გეოგრაფმა, გეოპოლიტიკის წინამორბედმა ონესიმ რეკლიუმ (Onesime Reclus) პირველმა გამოიყენა სიტყვა „ფრანკოფონია" 1880 წელს. მისი კვლევის საგანი, ძირითადად, საფრანგეთი და ჩრდილოეთ აფრიკა იყო. და აი, ერთ დღეს მან გადაწყვიტა, მსოფლიოს მოსახლეობა დაეყო იმ ენათა მიხედვით, რომელსაც ისინი ყოველდღიურ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში იყენებდნენ. ამით მან უარი თქვა იმ დროს გაბატონებულ რასის, ეთნიკურობის, სოციალური თუ ეკონომიკური დონის პრინციპებზე. რესპუბლიკური იდეებით გატაცებული გეოგრაფი საფრანგეთის რესპუბლიკას თავისუფლების იდეალების მედროშედ მიიჩნევდა. მის მიერ გამოგონებული ტერმინი „ფრანკოფონია" ერთდროულად მოიცავდა ლინგვისტურ იდეას, გეოგრაფიულ კავშირსა და თავისუფლების სიმბოლოს.

შემდეგ ეს სიტყვა დიდი ხნის განმავლობაში დავიწყებას მიეცა. იგი ხელახლა გამოჩნდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ — 1960 წელს, იმ დღეს, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტმა, გენერალმა დე გოლმა აცნობა ლეოპოლდ სედარ სენგორს, რომ აფრიკაში კოლონიზაციის ერა დამთავრდა. „ბრავო, ჩემო გენერალო!" — წამოიძახა აფრიკელმა, —"მაგრამ დღეიდან ჩვენ ერთად უნდა დავიცვათ ის ენა, რომელიც ჩვენია: ფრანგული!" მეორედ ტერმინი „ფრანკოფონია" 1962 წელს გამოჩნდა ფრანგულ ჟურნალში — „Le Fransais dans le monde" ("ფრანგული ენა მსოფლიოში"). ჟურნალის ამ ნომერში თავმოყრილი იყო ყველა ეროვნების დიდი მწერლების ნააზრი „ფრანკოფონიის" ფენომენზე. სენეგალის პრეზიდენტმა, ფრანგულენოვანმა პოეტმა და გრამატიკოსმა, 1984 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრმა ლეოპოლდ სედარ სენგორმა ამ სიტყვას და ცნებას საერთაშორისო ჟღერადობა შესძინა. მასთან ერთად ტუნისის პრეზიდენტმა ბურგიბამ და ნიგერიის პრეზიდენტმა ჰამარი ძიორიმ გამოთქვეს მოსაზრება, მრავალი აფრიკული ქვეყანა გაერთიანებულიყო „ფრანკოფონიის" ცნების გარშემო.

სიტყვა „ფრანკოფონია" 1968 წელს ორი ძირითადი მნიშვნელობით შევიდა ლექსიკონში:

1. ფრანკოფონი — ფრანგულად მოლაპარაკე ადამიანი;
2. ფრანკოფონია — ფრანგულად მოლაპარაკე ხალხების გაერთიანება.

რა არის დღეს ფრანკოფონია?

ეს არის 47 ქვეყანა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. ეს არის სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის და რელიგიური რწმენის ხალხების გაერთიანება, რომლებსაც ფრანგული ენა აქვთ საერთო. ფრანკოფონიის ასეთი დიდი, ხუთივე კონტინენტის მომცველი სივრცის არსებობა განაპირობა ფრანგული ენის უნივერსალურობამ, ენისა, რომელიც, ლეოპოლდ სედარ სენგორის თქმით, „საუკუნეების ყველა სიმდიდრეს მოიცავს".

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, უძველესი დროიდან მოყოლებული, ფრანგული ენის გეოგრაფიული საზღვრები და საფრანგეთის სახელმწიფოს საზღვრები არასოდეს ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

ჯერ კიდევ XII, XIII საუკუნეებში, როდესაც ლათინური, კათოლიკური ეკლესიის ენა ევროპის ბევრ ქვეყანაში ოფიცი-

გაგრძელება მე-10 გვ.

O TEMPORA, O MORES!

## 12 აგვისტო

**1895** — **100** წლის წინ დაიბადა სილოვან კაკაბაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი.

**1956** — **40** წლის წინ გარდაიცვალა თომას მანი, დიდი გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, „ბუდენბროკების", „ჯადოსნური მთის", „დოქტორ ფაუსტუსის" ავტორი.

**1967** — ჯგუფ Fleetwood Mac-ის პირველი გამოსვლა სცენაზე.

## 13 აგვისტო

**1876** — რიხარდ ვაგნერის თაოსნობით გაიხსნა ბაიროიტის თეატრი. შენობა კ.ბრანდტის, გ.ზემპერის, ო.ბრიუკვალდის პროექტის მიხედვით აიგო. გახსნის დღეს ვაგნერის ტეტრალოგია „ნიბელუნგების ბეჭედი" დაიდგა. ფინანსური პრობლემების გამო, თეატრი მალე დაიხურა. **1882** წლიდან აქ ტრადიციული, ვაგნერის სახელობის ფესტივალები იმართება, სადაც დირიჟორობდნენ სახელგანთქმული შემსრულებლები: ფ.მოტლი, რ.შტრაუსი, კ.მუკი, ვ.ფურტვენგლერი, გ.აბენდროტი, ა.ტოსკანინი.

**1900** — **95** წლის წინ სოფელ უზკოეში გარდაიცვალა ვლადიმირ სოლოვიოვი, რუსი რელიგიური ფილოსოფოსი, პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ცნობილი ისტორიკოსის სერგეი სოლოვიოვის ვაჟი. იგი იყო პლატონის პირველი სრული რუსული თარგმანის ავტორი. დგას ე.წ. „რუსული რელიგიური რენესანსის" სათავეში.

## 14 აგვისტო

**1860** — **135** წლის წინ დაიბადა ერნესტ სეტონ ტომპსონი, ცნობილი კანადელი მწერალი ანიმალისტი. „ველური ცხოველების ცხოვრების" (**1925-1927**) ავტორი.

**1900** — **95** წლის წინ დაიბადა თამარ წერეთელი, მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

**1920** — **75** წლის წინ დაიბადა გივი წილოსანი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**1945** — **50** წლის წინ დაიბადა ვიმ ვენდერსი, დიდი გერმანელი კინორეჟისორი, ავტორი ფილმისა — „ცა ბერლინის თავზე".

მე—9 გვერდიდან

ალურ ენად არის აღიარებული, ფრანგული ენა მეორე საერთაშორისო ენის სტატუსს იღებს, რასაც განაპირობებს საფრანგეთის ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების სისტემის, პოლიტიკისა და ეკონომიკის გავლენის გაფართოება.

ინგლისში იგი XV საუკუნემდე ოფიციალური ენაა. ჰენრიხ IV (1399-1413) იყო ინგლისის პირველი მეფე, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიურ და უპირველეს ენად იქცა. იტალიაში ფრანგული ენა იმდენად იყო გავრცელებული, რომ მარკო პოლო 1298 წელს, აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ, თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ფრანგულ ენაზე წერს. სწორედ იტალიაში შედგა 1532 წელს პირველი ნოტარიული აქტი ფრანგულ ენაზე, მაშინ, როდესაც პარიზში ჯერ კიდევ ლათინურს იყენებდნენ.

შემდგომში იტალიურისა და ესპანურის განვითარება გარკვეულად ამცირებს ფრანგული ენის გავლენის სფეროებს. მაგრამ XVIII საუკუნეში ფრანგულს კვლავ „ევროპის ამოგეას“ უწოდებენ. გერმანელი ფილოსოფოსი ლეიბნიცი თავის ძირითად ნაშრომებს ფრანგულ ენაზე წერს.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის გარიჟრაჟზე ყველა, ვინც განათლებაზე დებდა თავს, აუცილებლად ფრანგულად ლაპარაკობდა, იქნებოდა ეს პრუსიის მეფე ფრედერიკ II თუ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე, ხოლო იტალიისა და გერმანიის სამეფო კარი ამ დროისთვის მთლიანად ფრანკოფონული იყო. ფრედერიკ II ფრანგულად წერს თავის „მემუარებს“. იგი აცხადებს ბერლინის აკადემიის კონკურსს: „რამ განაპირობა ფრანგული ენისთვის ევროპის უნივერსალური ენის სტატუსის მინიჭება“. ამ კონკურსში გაიმარჯვა და 1784 წელს ბერლინის აკადემიის პრემია მიიღო ანტუან რიკაროლიმ. მის ნაშრომში ხაზგასმით გამოკვეთილია ფრანგული ენის ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორიცაა „სიცხადე“ (clarde). ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ პუშკინი თურმე ყოველთვის ფრანგულად წერდა, როდესაც უნდოდა ნათლად გამოეხატა თავისი ნააზრევი.

სხვა კონტინენტებზე ფრანგული ენის გავრცელებას ხელი შეუწყო მოგზაურობებმა, ექსპედიციებმა, ფრანგების დასახლებამ უცხოეთში.

ფრანგები პირველად XVII საუკუნეში დასახლდნენ სხვა კონტინენტზე — კანადაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, აფრიკული კონტინენტის ერთ ნაწილსა და ინდოეთის ოკეანის აუზში.

XIX საუკუნის ბოლოს მეორე ექსპანსიის უპრეცენდენტო ტალღასთან გვაქვს საქმე. საფრანგეთი ნელ-ნელა ხვდება მეტროპული აფრიკისა და აზიის დიდ ნაწილში, სადაც იგი ბევრ ფრანგულ დაწესებულებას ხსნის.

1919 წელს ფრანგულ ენას კონკურენტი გამოუჩნდა. სწორედ ამ დროს შედგა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მაუწყებელი ვერსალის ტრაქტატი ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

1945 წლიდან ფრანგულსა და ინგლისურს ერთნაირი სტატუსი აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დროთა განმავლობაში იცვლება ფრანგული ენის გავრცელების არეალი.

დღეისთვის ფრანგული ენა ერთადერთი ოფიციალური ენაა მსოფლიოს 22 ქვეყანაში, ხოლო 14 ქვეყანაში — ერთ-ერთი ოფიციალური ენა.

1962 წელს სამი აფრიკელი პრეზიდენტის მიერ გამოთქმული აზრი ფრანკოფონიის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურების შეხვედრის შესახებ წლების განმავლობაში მწიფდებოდა.

პირველი საზეიმო შეკრება გაიმართა ნიამეიში 1970 წელს, სადაც თავი მოიყარეს ფრანკოფონიაში ამ დროს შემავალი 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა. „ფრანკოფონული კულტურა არ სთავაზობს აფრიკას, დაექვემდებაროს დასავლეთს და იქ საკუთარი ხული დაკარგოს“, — მიმართა მათ მაღალი ტრიბუნიდან საფრანგეთის კულტურის მინისტრმა, დიდმა მწერალმა ანდრე მალრომ, — „იგი მას სთავაზობს, შეეწიდეს თანამედროვე მსოფლიოში და მოახდინოს მასში ყველაზე მაღალი აფრიკული ღირებულებების შერწყმა“.

ამავე შეკრებაზე, 1970 წლის 20 მარტს შეიქმნა კულტურული და ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტო, რომელშიც 21 სახელმწიფო გაერთიანდა. დღეისთვის იგი აერთიანებს 44 ქვეყანას ხუთივე კონტინენტზე. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავის მრავალმხრივ საქმიანობას წარმართავს აღზრდისა და განათლების, კულტურისა და კომუნიკაციის, ტექნიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების, სხვადასხვა სოლიდარობის გამომხატველი საქმიანობის, ტექნიკური დახმარების სფეროებში.




# ფრანკოფონია — მშვიდობა, ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა

ფრანკოფონიის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურების პირველი შეხვედრა უმაღლეს დონეზე პირველად შედგა პარიზში 1986 წელს. ამიერიდან იგი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. თითოეულ შეხვედრაზე სახელმწიფოთა მეთაურები იხილავენ აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს. ისინი შეიმუშავებენ თანამშრომლობის პროგრამას, რომელიც შემდგომ შეხვედრამდე უნდა განხორციელდეს.

საფრანგეთის, მონაკოსა და ლუქსემბურგის გარდა ყველაზე ფრანკოფონული ქვეყნებია — ალჟირი, ბელგია, კანადა, კონგო, კოტ დივუარი, გაბონი, ლიბანი, მორისი, ტუნისი. მსოფლიოს რეგიონებიდან ყველაზე ფრანკოფონულია მაგრები (მოსახლეობის 24,7 პროცენტი), აღმოსავლეთ ევროპა (1,7 პროცენტი), ინდოეთის ოკეანის აუზი (13,2 პროცენტი) და სუბსაჰარული აფრიკა (10,1 პროცენტი).

მთლიანად, ფრანკოფონული გაერთიანება მსოფლიო მოსახლეობის 8,5 პროცენტია, რომელთაგან 5 პროცენტი ფრანგულს იყენებს როგორც პირველ, მეორე ან უცხო ენას. იგი ინგლისურთან ერთად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ისწავლება.

პრუსიის მეფე ფრედერიკ II ფრანგულ ენას უწოდებდა „გასაღებს, რომელსაც შეუძლია შეგიყვანოთ ყველა სახლსა და ყველა ქვეყანაში“. „იმოგზაურეთ ლისაბონიდან პეტერბურგამდე, — წერდა იგი, — სტოკჰოლმიდან ნეაპოლამდე, ილაპარაკეთ ფრანგულად და თქვენ ყველგან გაგიგებენ“

„ფრანკოფონიის ქართული ცენტრი“, რომელიც ქართველმა ფრანკოფონებმა და ფრანკოფილებმა 1995 წლის 15 მაისს დააარსეს, ეცდება გამოიყენოს ეს უნივერსალური გასაღები, რათა მსოფლიოს, პირველ რიგში, ფრანკოფონულ სამყაროს გააცნოს საქართველო, ქვეყანა, რომელსაც აქვს დიდი ისტორიული, კულტურული, ლიტერატურული, მუსიკალური წარსული და აწმყო, ქვეყანა, რომელმაც არა ერთი მარგალიტი შესძინა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს, ქვეყანა, რომელსაც მშვიდობის დამყარების, ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის დიდი ტრადიციები აქვს, მაგრამ რომელსაც ბედის ირონიისა თუ ისტორიული უკუღმართობის გამო, ახლა სჭირდება კვლავ დაამყაროს მშვიდობა საკუთარ ტერიტორიაზე, ისევ ურრთიერთგაგება და შემწყნარებლობა გახდეს მისი სხვა ხალხებთან ურთიერთობების საფუძველი.

ამავე უნივერსალური გასაღების მეშვეობით „ფრანკოფონიის ქართული ცენტრი“ ეცდება საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც საფრანგეთთან საუკუნეობრივი ურთიერთობები აქვს, გააცნოს იმ 47 ქვეყნის ისტორია თუ დღევანდელობა, ლიტერატურა თუ კულტურა, რომლებიც ქმნიან ფრანკოფონულ სივრცეს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს ფრანგული ენის სიყვარული და ზრუნვა უკეთესი ხვალისთვის.

დემოკრატიის, აღმშენებლობის, ურთიერთგაგების, მშვიდობის და შემწყნარებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს ასეთ სამყაროსთან ურთიერთობა სჭირდება.

**მზაღო დოხტურიშვილი**
„ფრანკოფონიის ქართული ცენტრის“ თანაპრეზიდენტი

## იდუმალებით მოსილი ფსიქიკა

# ნათელხედვა

პარაფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია ბევრი ცდა, რომელიც ჩაუტარებიათ ნათელხედვის უნარის მქონე პირებთან. მათგან ყველაზე დიდი წარმატება ხვდა პოლონელ ინჟინერს — სტეფანე ოსოვეცკის. 1921 წელს, პროფესორი შ.რიშე, თავისი თანამშრომლებით, პარიზიდან ვარშავაში ჩავიდა, რათა ჩაეტარებინა მასთან ცდების სერია. რიშეს რომელიმე თანამშრომელი ან პარიზელი ნაცნობი ამზადებდა რაიმე წარწერას ან შტრიხებიან ნახატს, სდებდა მას შუქგაუმტარ კონვერტში, აწებებდა და გადასცემდა რიშეს. რიშე



ასეთი კონვერტებით მიდიოდა ცდაზე. არც თვითონ რიშემ, არც ვინმე დამსწრეთაგანმა არ იცოდა, რა იყო კონვერტებში, რომლებსაც ერთიმეორის მიყოლებით გადასცემდნენ ოსოვეცკის; იგი ხელში ჰმუჰნიდა კონვერტს და სწრაფად, თითქმის ყოველთვის ზუსტად, ამბობდა რა იყო შიგ.

მაგალითად, პარაფსიქოლოგმა რ.სიუდარმა კონვერტში ჩადო ბარათი, რომელზედაც ეწერა პასკალის სიტყვები: „ადამიანი ხომ უბრალო ლერწამია, ყველაზე უსუსური ბუნებაში, მაგრამ ეს ლერწამი აზროვნებს“.

ოსოვეცკიმ წაიკითხა, „პასკალის აზრებიდანაა. ადამიანი სუსტი არსებაა, იგი სუსტი ლერწამია, ლერწამი უმეტესად მოაზროვნეა“.

სხვა ცდის დროს ოსოვეცკის გადასცეს დარჩილული ტყვიის მილი შიგ ჩატანებული ბარათით. გამოსაკვლევმა პირმა განაცხადა: „ეს არის ნახატი. კაცი დიდი ულვაშებითა და სქელი წარბებით, ცხვირი არა აქვს. სამხედრო ტანსაცმელი აცვია. იგი პილსუდსკის ჰგავს. ამ კაცს არაფრის არ ეშინია, იგი რაინდსა ჰგავს“.

მილაკიდან (რომლის კედლების სისქე 3 სანტიმეტრი იყო) ამოიღეს ნახატი, რომელიც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ოსოვეცკიმ აღწერა. ნახატის ქვეშ იყო წარწერა: „რაინდი-უშიშარი და უნაკლო“.

ვარშავაში ყოფნის დროს რიშემ თერთმეტი ამგვარი ცდა ჩაატარა და ყველა წარმატებულად.

## მკურნალობა უექიმოდ

# ბოსტნეული

ბოსტნეული მეტად სასარგებლოა ორგანიზმისთვის, ვინაიდან მასში შედის ადამიანისთვის ძალზე საჭირო ნივთიერებები — ვიტამინები, ნახშირწყლები (სახამებელი, შაქარი), მინერალური მარილები (კალიუმის, ფოსფორის, კალციუმის, ნატრიუმის...), სურნელოვანი და გემოვნებითი ნივთიერებები, ფიტონციდები, რომელთაც აქვთ ბაქტერიების მოსპობის უნარი.

კიტრი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მაგრამ მაინც ძალზე მარგებელია — მასში მცირეა ნატრიუმის მარილი, კალიუმი კი საკმაოდ ბევრი. ასეთი მინერალური შედგენილობის წყალობით, კიტრი კარგად მოქმედებს მათზე, ვისაც აწუხებს ჰიპერტონია, თირკმელები და ქრონიკული ანთებები. გარდა ამისა, კიტრი უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს იოდს, ვიდრე, მაგალითად, სალათა, ხახვი, კარტოფილი. იოდის მნიშვნელობა კი დიდია ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის რეგულირებისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის. მისი უხეში უჯრედისი აძლიერებს კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკას და ამიტომაც, ყაზბობის საწინააღმდეგო საშუალებადაც მიიჩნევა.

ყაბაყი საკმაო რაოდენობით შეიცავს რკინას, ამიტომ მას იყენებენ სისხლნაკლებობისა და სისხლის შედედების უნარის დაქვეითების დროს, ხოლო კალიუმის მარილების სიმრავლის გამო, სასურველია, მისგან დამზადებული კერძები მივილოთ სხვადასხვა სახის ანთებადი პროცესის, აგრეთვე ჰიპერტონიული და გულის დაავადებებისას, როცა ავადმყოფობას შეშუპებაც ახლავს.

კომბოსტო ძალზე მნიშვნელოვანია დიეტური კვებისთვის. ნახშირწყლების სიმცირის გამო მას უნიშნავენ დიაბეტით დაავადებულებს. ხოლო მინერალური ნივთიერებების, განსაკუთრებით კი კალიუმის, სიმრავლის გამო, რაც ხელს უწყობს სითხის გამოდევნას ორგანიზმიდან, შეშუპებების დროსაც.

ხალხურ მედიცინაში კომბოსტოს წვენს იყენებენ ღვიძლის დაავადების, ყაზბობის, გასტრიტის, კუჭის წყლულისა და კბილის ტკივილის დროს; თესლის ნახარშს — მარილების დაგროვებისას და სახსრების ტკივილისას, შარდმდენად და ჭიების დამდენად. ახლად შემოცლილ ფოთლებს ადებენ ჩირქოვან იარებზე, ანთებად კანზე, სიმსივნეებისა და დამწვრობისას. კომბოსტოს თაფლიან წვენს უნიშნავენ ტუბერკულოზით დაავადებულებს.

მეცნიერულ მედიცინაში კომბოსტო მას შემდეგ დაინერგა, რაც მასში აღმოაჩინეს წყლულების საწინააღმდეგო ფაქტორი — ულცეროზული ვიტამინი.

ჭარხალი მდიდარია შაქრით, ვიტამინებით, კაროტინით, ორგანული მჟავებით. ჭარხალშია ცხიმოვანი ზეთი, ცილები, მაკრო და მიკროელემენტები. ახლადმოხარშულ ჭარხალს ურჩევენ ავადმყოფებს, რომლებსაც აწუხებთ ჰიპერტონია, თირკმელების, ღვიძლის დაავადებები და ყაზბობა. ფიქრობენ, რომ ჭარხალს ანტიმიკრობული თვისებებიც აქვს.

ლობიო ძალზე მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით, ცხიმებით, ფოსფორისა და კალიუმის მარილებით, ვიტამინებით, სიცოცხლისთვის აუცილებელი ამინომჟავებით.

ხალხურ მედიცინაში ლობიოს პარკის წყლიანი ნახარში და ნაყენი გამოიყენება ჰიპერტონიის, თირკმელისა და შარდის ბუშტის დაავადების, ქრონიკული რევმატიზმის, ბადაგრის, გულსისხლძარღვოვანი წარმოშობის შეშუპების, თირკმელკენჭოვანი დაავადებების და განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტის დროს.

ლობიოს გამხმარი მარცვლისგან ამზადებენ ფქვილს, რომელსაც იყენებენ მოსაფრქვევად დამწვრობისა და ჭრილობების დროს, ასევე, ეგზემის სამკურნალოდ.

კარტოფილის ცილა თავისი ბუნებით ძალიან ახლოს დგას ადამიანის ცილასთან და ამიტომ ორგანიზმი ადვილად და სრულად შეიწოვს. ცილის შემცველობით განსაკუთრებით მდიდარია ტუბერის გარეთა შრე — კანი. ამიტომ, სასურველია, თუ კარტოფილს თავისივე „მუნდირში“ მოვხარშავთ ან შევწვავთ, რაც ძალზე მარგებელია ჰიპერტონიული დაავადებების დროს.

კუჭის წყლულოვანი დაავადებების მკურნალობისთვის იყენებენ კარტოფილის წვენს, ხოლო გახეხილ კარტოფილს კანის სხვადასხვა დაავადების, დამწვრობისა და ეგზემის დროს — დაზიანებულ ადგილზე დასადებად.

ზურაბ საკანდელიძე 50 წლისაა



# «მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო»

ზურაბ საკანდელიძეს 9 აგვისტოს 50 წელი შეუსრულდა. ამ სოლიდური წლებიდან ათეულ წელზე მეტი ჩვენ თბილისში ერთად ვცხოვრობდით და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სწორედ ეს იყო მისი არნახული სპორტული აღზევების წლები. ზურაბი ჩემზე ხუთი წლით უმცროსია და მე მისთვის ყოველთვის ვიყავი უფროსი ძმაც, „უფროსი მწვრთნელიცა" და „უფროსი მენეჯერიც". ამას იმიტომ ვამბობ, რომ როცა ზურაბმა სკოლა დაამთავრა და ყველა ფიქრობდა, ჩვენთან „ბურევესტნიკში" (მე ამ გუნდში ათ წელზე მეტი ვითამაშე) მოვიდოდა, ის თბილისის „დინამოში" აღმოჩნდა , რადგან ვფიქრობდი (და არც შევმცდარვარ), რომ მის ტალანტს ამ გუნდში უფრო ადრე მიეცემოდა ფართო ასპარეზი.

როგორც უფროს ძმას, ზურაბი ყოველთვის პატივს მცემდა და, რაც მთავარია, მიჯერებდა. სწორედ ჩემგან გადაიღო მან ექვსნომრიანი მაისურის სიყვარული და ზედმეტი სახელიც „საკო". როგორც კალათბურთელსა და ზურაბის ერთ-ერთ მუდმივ მწვრთნელს, ჩემს აზრებს ყოველთვის პატივს სცემდნენ ჩვენი გამზრდელი (დიახ, მწვრთნელიცა და გამზრდელიც ერთდროულად) სულიკო თორთლაძე, თბილისის „დინამოს" მწვრთნელები ოთარ ქორქია და ლევან მოსეშვილი და საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები, განსაკუთრებით კი, ალექსანდრე გომელსკი.

... გავიდა წლები. კარგა ხანია, ზურაბ საკანდელიძე კალათბურთს ჩამოშორდა, მაგრამ სჯა-ბაასი მისი საკალათბურთო მოღვაწეობის შესახებ დღემდე გრძელდება, რამეთუ ზურიკომ ნამდვილად ითამაშა პროფესიულად უზადოდ დახვეწილი, უაღრესად რომანტიკული, შთამბეჭდავი და განუმეორებელი ილეთებით შეზავებული მსოფლიო სტანდარტების დონის უმაღლესი კალათბურთი, მაგრამ ზოგიერთებს უკმარისობის გრძნობაც აქვთ დარჩენილი და ხშირად მეკითხებიან — ზურაბის მიმართ გავაკეთე კი ყველაფერი, რაც შემეძლო?

პასუხისთვის მინდა, გავიხსენო ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის პატარა ისტორია. როცა მიტერანს ჰკითხეს, რას ისურვებდით საფლავის ეპიტაფიად, მან მიუგო: იმავეს, რაც ვილი ბრანდტის საფლავზეა — „მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო", დიახ, მეც შემიძლია გავიმეორო ეს სიტყვები — ჩემს პირად ცხოვრებაში არა, მაგრამ ზურაბის მიმართ ნამდვილად გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო და რომ დღეს ზურაბ საკანდელიძის სახით საქართველოს ჰყავს ყველაზე ტიტულოვანი კალათბურთელი (ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, პირველი მსოფლიო და პირველი ოლიმპიური ჩემპიონი), რომ 1965 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების ამერიკის ტურნეს დროს 19 წლის ყმაწვილმა თავისი ფანტასტიკური თამაშით განაცვიფრა ყველაფრის მნახველი ამერიკელი კალათბურთის თაყვანისმცემლები (ქ.სიეტლში



აღტაცებულმა მაყურებლებმა იგი მოედნიდან ხელში ატაცებული გამოიყვანეს, ხოლო ქალაქის მერმა მას ოფიციალურად მიანიჭა ქ.სიეტლის საპატიო მოქალაქეობა და გადასცა მის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი მოწმობა, ამავე ტურნირში მას შესთავაზეს ამერიკის ერთ-ერთ პროფესიულ გუნდში დარჩენა); რომ 1967 წელს ის აღიარეს ევროპის საუკეთესო დამცველად და შეიყვანეს მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც; რომ ცნობილმა ავტორიტეტებმა სერგეი ბელოვმა და ვლადიმერ კონდრაშინმა ზურაბი დაასახელეს საბჭოთა კავშირის ყველა დროის სიმბოლური ნაკრების ხუთეულში; რომ ამ 2-3 თვის წინ ამერიკის შეერთებული შტატების მაყურებელმა ზურაბ საკანდელიძეზე თითქმის ერთსაათიანი სატელევიზიო გადაცემა იხილა; ყოველივე ამაში, ვფიქრობ, ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა.

როცა იმავე შეკითხვით იუბილარს მივმართე, მან მიპასუხა: კალათბურთში რაც შემეძლო, შეიძლება, ყველაფერი ვერ გავაკეთე, რადგან მაქსიმალისტი ვიყავი როგორც კალათბურთში, ისე მეგობრობაშიც — ჩემპიონობა მინდოდა იქაც და აქაც. ჩემპიონობას კალათბურთში მივაღწიე, მაგრამ მეგობრობაში ჩემპიონობისთვის ბრძოლა დღესაც გრძელდება. მინდა, ყველამ სწორად გამიგოს — რაც კალათბურთს დავაკელი, ის მეგობრობას დავუმატე და ამას დღემდე არ ვნანობ, რადგან როცა ჩემი საკალათბურთო ცხოვრება დამთავრდა, მე მარტო არ დავრჩენილვარ და ჩემი მეგობრებით ვცხოვრობ.

ეს წერილი მინდა დავამთავრო ერთი მცირე მოგონებით: ორი ოლიმპიური და სამი მსოფლიო ჩემპიონის აღმზრდელ დიდ მწვრთნელს სულიკო თორთლაძეს თავიდანვე ძალიან უყვარდა ზურაბი და ბავშვობიდანვე ხედავდა მასში დიდ კალათბურთელს. როდესაც ზურიკო ჯერ კიდევ სკოლის მონაფე იყო, ქუთაისში, ჩვენ დიდ ოჯახში გამართულ ერთ-ერთ დაბადების დღეზე ბატონმა სულიკომ თავის სადღეგრძელოში ლექსით მიმართა იუბილარს. ვიცოდი, რომ ბატონი სულიკო პოეზიის ტრფიალი იყო და თვითონაც წერდა ლექსებს. ეს ლექსიც ბატონი სულიკოს მიერ შეთხზული მეგონა, რადგან იქ ნახსენები იყო ცხელი ზაფხული (ზურიკოც ხომ აგვისტოშია დაბადებული) და ზურიკოს სახელიც. მხოლოდ შემდეგში, როცა ეს ლექსი მთელ რესპუბლიკაში გახდა პოპულარული (მის ტექსტზე ქალბატონი ნანი ბრეგვაძე მშვენიერ სიმღერას მღერის), მივხვდი, რომ ის ბატონ სულიკოს არ ეკუთვნოდა და მან ეს ლექსი სადღეგრძელოში იმპროვიზებული სახით გამოიყენა. აი, ეს „სულიკოსეული" ლექსიც:

მიხარია ცხელ ზაფხულის დაბრუნება,
ნვიმაც, ქარიც — უსაქმურად დანაბერი,
ბევრი კარგი რამ ცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, ზურაბ, შენისთანა არაფერი.

**ანზორ საკანდელიძე**
სპორტის ოსტატი კალათბურთში

## ნარდი

# დუშაში, კამათელო!

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საქართველოს ნარდის ფედერაცია მსოფლიოს სპორტული ნარდის ფედერაციის წევრია და სისტემატურად მონაწილეობს მისი ეგიდით გამართულ ყველა რანგის კალენდარულ შეჯიბრებაში. ახლახან მონტე-კარლოში უმასპინძლა მსოფლიოს XX საიუბილეო პირველობას სპორტულ ნარდში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი პლანეტის 47 სახელმწიფოს ცნობილმა მონარდემ. მონტე-კარლო ცნობილია თავისი კაზინოებით, სათამაშო სახლებით. ტურისტები აქ ჩამოდიან დროს გასატარებლად, სათამაშოდ, გასართობად და სხვა. სპორტული ნარდის მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონატს, რომელიც ოლიმპიური სისტემით 3-3 ჯგუფად ჩატარდა, არ აკლდა გულშემატკივარი. მოასპარეზეთა შორის იყო ჩვენი სამშობლოს სპორტული ნარდის დელეგაცია.

მესამე ჯგუფში თამაშობდა 55 წლის თბილისელი სპორტული ნარდის ოსტატი დემურ მაღლაკელიძე, რომელმაც 7 შეხვედრა ჩაატარა საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მონარდეებთან. ყველა მათგანი ქართველმა მონარდემ მოიგო და საუკეთესო ქულებიც დააგროვა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მას მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად, საგანგებო თასი და ფასიანი საჩუქარიც გადაეცა. ვუსურვებთ ახალ მსოფლიოს ჩემპიონს დემურ მაღლაკელიძეს, ასეთივე წარმატებით ეთამაშოს მოახლოებულ ევროპისა და აზიის ქვეყნების ჩემპიონატებშიც.

**შალვა ქორიძე**

## ძიუდო

# ოჯახური გატაცება

შოთა ჩოჩიშვილი ის პოპულარული ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც 23 წლის წინათ, 1972 წელს მიუნხენის XX საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებზე მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა და გერმანიის ამ ქალაქის სპორტის სასახლეში მისი გამარჯვების პატივსაცემად შესრულებული იქნა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჰიმნი. იმ პერიოდში ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ჩვენში დიდი რეზონანსი ჰქონდა. შოთა ჩოჩიშვილის ოჯახში ძიდაობის ეს იაპონური სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. მამის კვალს გაჰყვა მისი ვაჟი — რამაზი, რომელმაც მოიშუშა ტრავმები და მყარად დაიკავა ადგილი საქართველოს ნაკრებ გუნდში. სულ ახლახან, მინსკის ტატამზე ახალგაზრდა რამაზ ჩოჩიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა იქ გამართულ 13 ქვეყნის დიდ საერთაშორისო ტურნირზე. ვულოცავთ ჩოჩიშვილს (მეორეს) პირველ ადგილს და ვუსურვებთ მას ჩემპიონად დაბრუნებულიყოს 28 სექტემბერს ტოკიოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატიდან. თუ რამაზმა მამის მსგავსად გაიმარჯვა, მაშინ საბჭოთა კავშირის ჰიმნის ნაცვლად, ჩვენი სამშობლოს ჰიმნი შესრულდება.

მინსკის საერთაშორისო შეჯიბრი, ქართული ძიუდოს საჭიდაო სკოლის კიდევ ერთი აღიარება იყო. თბილისელმა სოსო ლიპარტელიანმა (78 კგ) და მისმა თანაქალაქელმა ივერი ჯიქურაულმა (86 კგ) მკერდი ოქროს მედლებით დაიმშვენეს. ვერცხლის მედლები ხვდათ გიორგი რევაზიშვილს (65 კგ), გურამ მოდებაძეს (71 კგ) და მევლუდ ლობჟანიძეს (95 კგ). ყველა ისინი თბილისელები არიან. 60 კილოგრამ წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გ.ხერგიანმა (მესტია) და თელაველმა ფალავანმა გიორგი წმინდაშვილმა (78 კგ). საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები 21-დღიან შეკრებას ატლანტაში (აშშ) გააგრძელებს. იქიდან თბილისში დაბრუნდება, ხოლო 23 სექტემბერს ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

**შალვა ნიქარაძე**

## ფეხბურთი

# ყველაფერი განმეორებით შეხვედრებში გაირკვევა

გაიმართა ევროპული სათასო ტურნირების საკვალიფიკაციო მატჩები. ამ ტურნირში, როგორც ცნობილია, საქართველოს სამი გუნდი ასპარეზობს. ჩვენმა კლუბებმა პირველი შეხვედრები სტუმრად გამართეს.

### „ბოტევი"-„დინამო" 1:0

ამ შეხვედრამ ყველა ის ხარვეზი გამოავლინა, რომელიც „დინამოს" გუნდს გააჩნია. დინამოელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. თამაშობდნენ უღიმღამოდ და ზოგჯერ დაბნეულადაც. მცველები უკან დახევას ვერ ასწრებდნენ. დასწრებაზე თამაში ყოველთვის ბულგარელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რამაც თბილისელთა კარში გოლი გამოიწვია. თავდასხმაც უფერულად გამოიყურებოდა. ფორვარდებმა ვერც ერთი ხეირიანი დარტყმა ვერ განახორციელეს. მათ აშკარად აკლდათ სისწრაფე, რომლითაც ასე მდიდარია ახალგაზრდა ალექსანდრე იაშვილი. იმედია, რომ 22 აგვისტოს საქმეში ვიხილავთ ამ უდაოდ ნიჭიერ ფეხბურთელს. მეორე ნახევარში „ბოტევს" ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მშვენივრად ითამაშა ირაკლი ზოიძემ.

განმეორებითი მატჩი 22 აგვისტოს თბილისში გაიმართება. 0:1 დამარცხება თავისთავად კატასტროფა არ გახლავთ და საქმის გამოსწორება შეიძლება, მაგრამ, თუ „დინამომ" მეორე მატჩი იგივე შემართებით და იმავე სისწრაფით ჩაატარა, როგორც სტუმრად, ვფიქრობ, რომ ჩვენებს გაუჭირდებათ.

სიმართლის გულისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ბოტევი" არ არის იმ კლასის გუნდი, რომელიც „დინამოზე" გამარჯვებას იმსახურებს.

### „ვარდარი"-„სამტრედია" 1:0

ვულოცავთ სამტრედიელებს ევროთასებზე დებიუტს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ. არადა, „სამტრედია" ახლოს არის გამარჯვებასთან. მან არაფერში ტოლი არ დაუდო მაკედონიის ჩემპიონს და დამარცხების მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ორივე გუნდს კარის აღების შესაძლებლობები ჰქონდა. სამტრედიელთა რიგებში გამოირჩეოდა 19 წლის ზაზა ჯანაშია, რომელმაც მრავალი თავსატეხი გაუჩინა „ვარდარის" მცველებს. ერთ-ერთ ეპიზოდში სამტრედიელთა ფორვარდის დარტყმის შემდეგ მასპინძელთა კარი ძელმა იხსნა. ვფიქრობ, ამ მატჩში „სამტრედიის" მარცხი მათმა გამოუცდელობამ განაპირობა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განმეორებით შეხვედრაში სამტრედიელები უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვებენ და გაამართლებენ გულშემატკივართა იმედებს.

### „ობელიჩი"-„დინამო" (ბათუმი) 0:1

ბათუმის „დინამომ" დებიუტშივე ისახელა თავი. იუგოსლავიის „ობელიჩს" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" სტადიონზე ნამდვილი ბათუმური ამინდი შეუქმნა და 71 წუთზე გოლიც შეუგდო. „მინდა გაგახაროთ, — ასე დაიწყო ბატონმა ნუგზარ ჯუღელმა მეორე ტაიმის რადიორეპორტაჟი, — ბელგრადში ნამდვილი ბათუმური ამინდია". მეკარე ასლან ბალაძის შეუდარებელმა თამაშმა და მაჭუტაძის გოლმა (თუმცა ბატონი ნუგზარი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ გოლი მაჭუტაძემ გაიტანა) ევროთასების დებიუტანტის „ობელიჩის" იმედი დაამსხვრია. ვულოცავთ ქართველ ფეხბურთელებს ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

შეგახსენებთ, რომ განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 22 და 24 აგვისტოს.

**მაია იმნაძე**

## მოზაიკა

### „პარმა" აშშ-ში

სულ მალე, სექტემბრის პირველ რიცხვებში სტარტს აიღებს იტალიის ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ ქვეყნის უძლიერესი კლუბი „პარმა" ამერიკაში გაემგზავრა და ქალაქ ნიუ-ჯერსიში გამართულ ოთხთა ბლიც-ტურნირში ჩაება. როგორც ვიცით, წლევანდელ ჩემპიონატში „პარმის" ღირსებას დაიცავს ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი, რომელი იტალიელებმა „ბარსელონასგან" შეიძინეს. ბლიც-ტურნირის ნახევარფინალში „პარმამ" ანგარიშით 2:1 დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. ხოლო პორტუგალიის „ბენფიკასა" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსის" შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები უფრო ზუსტად გამოიყენეს არგენტინელებმა, რომლებიც ფინალში იტალიის „პარმას" შეხვდნენ. არგენტინელთა რიგებში თამაშობდა ევროპიდან ახლახან დაბრუნებული კლაუდიო კანიჯა. „პარმამ" ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა — 3:1. ორი გოლი სტოიჩკოვმა გაიტანა. მესამე ადგილისთვის მატჩში ამერიკის ნაკრებმა 2:1 მოუგო პორტუგალიის „ბენფიკას".

### ოთხთა ტურნირი გერმანიაში

ანალოგიური ხასიათის ოთხთა ტურნირი გაიმართა გერმანიაში, სადაც საკმაოდ ტიტულოვანმა კლუბებმა მოიყარეს თავი. ეს გახლავთ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ამსტერდამის „აიაქსი", ინგლისის ლიგის თასის მფლობელი „ლივერპული", გერმანიის თასის მფლობელი მიონხენგლადბახის „ბორუსია" და იტალიის „ფიორენტინა". ნახევარფინალში „აიაქსმა" 5:0 გაანადგურა „ლივერპული", ხოლო გერმანიის „ბორუსიამ" 2:1 სძლია იტალიის „ფიორენტინას". ფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" „ნოკაუტში" გაგზავნა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „აიაქსი" — 5:2. მესამე ადგილისთვის „ლივერპულმა" პენალტების სერიით 4:2 დაამარცხა „ფიორენტინა".

**შალვა ქორიძე**




144-Ე ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲗᲐᲣᲠᲔᲑᲐ:

1. ორი სქელშუბლა
2. წყალში ვდგევარ, თევზი მიკიდია…
3. ამის პატრონმა რა ჭქნა?
4. საგონებელში ჩავარდნილი მეთევზე (რა იშოვის ამის ზომა ტაფას?)
6. ამის დაჭერას, ამის ნახევარი თევზჭალა დამეჭირა, არ ჯობდა?!

## ᲢᲔᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

### ᲡᲐᲓ ᲒᲔᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ: ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲨᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ?

1. თქვენი აზრით, რომელი ოთახია ყველაზე მნიშვნელოვანი?
სასტუმრო ოთახი — 3
საბავშვო — 0
სამზარეულო — 10
საძინებელი — 6.

2. ხართ თუ არა ეჭვიანი?
ძალიან — 0
სრულებითაც არა — 7
დიახ, მაგრამ ვცდილობ არ გამოვამჟღავნო — 10
ხანდახან — 4.

3. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დილის ვარჯიში
აუცილებელია — 10
სასარგებლოა — 0
ძალზე დამღლელია — 2
უსარგებლოა — 4.

4. გიყვართ თუ არა წვეულებაზე ყოფნა?
დიახ — 6
ხანდახან — 1
არა — 0
მხოლოდ საკუთარ სახლში — 4.

5. რაში გრძნობთ თავს ყველაზე კარგად?
საშინაო ფეხსაცმელში — 2
გამოსასვლელ ფეხსაცმელში — 4
სპორტულ ფეხსაცმელში — 5
ფეხშიშველა — 0.

6. როგორ მოიქცევით, თუ თქვენმა მეგობრებმა იჩხუბეს?
ნეიტრალურ პოზიციას დავიჭერ — 1
ერთ-ერთის მხარეს დავდგები — 3
შევეცდები შევარიგო — 0
თავად შერიგდნენ — 6.

7. სპორტის რომელი სახეობა გიზიდავთ?
ცხენოსნობა — 5
მძლეოსნობა — 8
ცურვა — 8
ძიუდო — 6.

8. თანასწორობის მომხრე ხართ?
დიახ — 6
ამაზე არ მიფიქრია — 4
არა — 1
ვცდილობ, საქმით დავამტკიცო — 10.

9. უწმაწურ ანეკდოტს ჰყვებიან. როგორ მოიქცევით?
გავალ ოთახიდან — 4
მოვისმენ — 2
აღვშფოთდები — 6
მეც მოვყვები რამეს — 5.

10. თუ აგებთ თამაშს, როგორ იქცევით?
სინანულს გამოვთქვამ — 5
საკუთარ თავს დავცინი — 9
ვაგრძელებთ თამაშს — 7
ვწყვეტ თამაშს — 6.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

35 ქულაზე ნაკლები — კაცი, რომელსაც გული მიუძღვენით, დარწმუნებული იყოს, რომ თქვენთვის მთავარი სიყვარულია. რასაკვირველია, თქვენ სამსახურეობრივი საკითხებიც გაინტერესებთ, მაგრამ პირველ ადგილზე ოჯახს აყენებთ. ამით გატაცებულს ხშირად საკუთარი თავი გავიწყდებათ. ძალიან მგრძნობიარე ხართ და ყოველი უხეშად ნათქვამი სიტყვა გულზე ეკალივით გესობათ. მაგრამ მალე გადაგივლით და მზად ხართ, სიყვარულის გამო აპატიოთ.

36-50 ქულა — თქვენ ყველაზე სასურველი ქალი ხართ. თქვენ ანიჭებთ ცხოვრებას სიტკბოებას. თქვენ რომ არ იყოთ, სასიყვარულო ავანტიურები არც იარსებებდა. თქვენი სისუსტე ის არის, რომ იოლად და სწრაფად გიყვარდებათ. ერთგულება არ გახასიათებთ. პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადიხართ. მაგრამ დაფიქრდით მომავალზეც. გინახავთ მოხუცი პეპელა?

51-65 ქულა — თქვენ ზომიერად ქალური, მომხიბლავი და, ამავე დროს, საქმიანიც ხართ. ცდილობთ, პროფესიულ ასპარეზზე თავი გამოიჩინოთ. მაგრამ საინტერესო მამაკაცთან შეხვედრისას გული გიჩქარდებათ. თქვენს პარტნიორს საკმაოდ გაუჭირდება იმასთან შეგუება, რომ ის თქვენი ერთადერთი საზრუნავი არაა.

65 ქულაზე მეტი — თქვენი ცხოვრების აზრი საქმეში წარმატების მიღწევაა. პარტნიორს გამუდმებით ესაუბრებით პირად თავისუფლებაზე. არსებობს საშიშროება, რომ სამსახურეობრივი საქმე უკანა პლანზე გადასწევს სამიჯნურო საქმეებს. საოჯახო საქმეები სრულებით არ იზიდავთ. მამაკაცების მიმართ ზედმეტად კრიტიკული ხართ.

## ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

ჰიჰიკას ეკითხებიან:
— ვის ესაზღვრება რუსეთი?
— ვიზე აქ საკითხავი, ვისაც უნდა, იმას ესაზღვრება…

* * *

მასწავლებელი ისტორიის გაკვეთილზე:
— რას ნიშნავდა მონღოლთა ბატონობა საქართველოში?
მოსწავლე:
— ეს იყო მონღოლთა ჯარის შეზღუდული კონტინგენტის განსაზღვრული ვადით საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა.

* * *

— მიტო, მითხარი რამე თბილი სიტყვა.
— რეფლექტორი.
— უი, ქა, დავდნი…

* * *

კახელს უთხრეს:
— გაიგე, ლცხოეთში ქალებს თურმე უკვე შპრიცით აღრიცხულებენ?
— ო, ტა, ტა, ტა, ჩვენი კი ისევ ძველებურათა ვწვალობთ და…

* * *

ერთი ინგლისელი დოღზე ყოველთვის დიდ თანხას აგებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა როგორც უნდა მოქცეულიყო. ექვსი წელი საერთოდ არ უთამაშია. ამ ექვსი წლის მანძილზე ექვსი ათასი ფუნტი სტერლინგი დააგროვა და ექვსი წლის შემდეგ, მეექვსე თვის ექვს რიცხვში, ლონდონის დიდი დოღის დღეს დილის ექვს საათზე ადგა, სპეციალურად გამოიძახა ტაქსი 66-66 ნომრით, იპოდრომს მიაშურა, ტაქსის მძღოლს ზედმეტი 6 შილინგი დაუტოვა, მე-6 სალაროსთან მივიდა და მთელი თავისი 6000 ფუნტი სტერლინგი მე-6 რბოლის მე-6 ცხენზე დადო: ჰოდა, ცხენიც… ფინიშთან მე-6 მივიდა.

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲔᲗᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შეკითხვა სპიკერს:
— ბატონო სპიკერო, მაქვს თუ არა უფლება, რომ დეპუტატ სიკინჭილაშვილს ბინძური, მყრალი ღორი ვუწოდო?
— არა გაქვთ უფლება, ბინძური და მყრალი ღორი უწოდოთ დეპუტატ სიკინჭილაშვილს.
— მაშინ, იძულებული ვარ თავი შევიკავო და დეპუტატ სიკინჭილაშვილს არ ვუწოდო ბინძური, მყრალი ღორი…

* * *

რუსეთში ავტობუსის მძღოლი მიკროფონში აცხადებს: „გაჩერება — „ღვინის მაღაზია“. შემდეგი გაჩერება — „რიგის ბოლო“.

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმი; 2. სპეციალურად მოწყობილი ნაგებობა მიზანში სროლისთვის; 3. მიღებული ყურძნის წვენი; 4. უშფოთველი ცხოვრება; 5. ხე-ხილი, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ბარში; 6. მოზრდილი მავნებელი მწერი; 9. თვალთმაქცი, ეშმაკი, მატყუარა, ცუღლუტი… 11. ყურძნის კრეფის პროცესი; 13. გრძელი გასასვლელი; 15. უარყოფითი მუხტის მქონე ნაწილაკი; 16. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე; 17. ლითონის ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად; 18. ზღაპრის პერსონაჟი, ჯადოსნური ლამპრის მფლობელი; 19. სხეულში სამკურნალო ხსნარის შეყვანა; 21. სახელმწიფო ინდოსტანის ნახევარკუნძულზე; 25. ნივთი, მოვლენა… 26. სოფელი ფშავში; 27. მონადირეთა ექსპედიცია; 31. სახელმწიფო ევროპაში; 32. ოქროქსოვილი სქელი ფარჩა; 33. სამოთხის ბაღი; 35. წინასწარმეტყველი ქურუმი ქალი აპოლონის ტაძარ დელფოსში; 37. ერთწლიანი პარკოსანი კულტურული მცენარე; 39. ავტომატური ხელსაწყო, რომელიც რეაგირებს დანადგარის რაიმე პარამეტრის ცვლილებაზე;

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. წარმოსახვითი მრუდი, რომელიც გადის დედამიწის პოლუსებზე; 8. მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ახდენს თვითრეფლექსიას; 10. ბოლშევიკური რეჟიმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 30-40-იანი წლების რეპრესიების სულის ჩამდგმელი; 12. ბოსტნეული კულტურა; 14. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთობლიობა; 17. ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რეგულარულად დადის ამა თუ იმ ეკლესიაში; 20. ტეხასის შტატის დედაქალაქი; 22. მდინარე კახეთში; 23. წინასწარი მონახაზი, რომელიც ნატურიდან არის შესრულებული; 24. ოქროქსოვილი ხავერდი; 28. ტბა აშშ-სა და კანადის საზღვარზე; 29. ქიმიური ელემენტი, შედის ჰაერის შემადგენლობაში; 30. გეომეტრიული ფიგურა, გაწელილი წრეწირის ფორმის; 34. პირის ლორწოვანი გარსის ანთება; 36. ზ.ფალიაშვილის ოპერა; 38. სამაგიდო თამაში; 40. ტვინის ანთება; 41. ორგანული წარმოშობის ძვირფასი ქვა.

შეადგინა

ᲓᲐᲗᲝ ᲯᲘᲚᲓᲐᲫᲔᲛ

## ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ

რომელი ქართული იდიომატური გამოთქმაა ნახატზე აღბეჭდილი:

მაგალითად:
პირში ჩალაგამოვლებული



2. …



3. …



1. …



144-Ე ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲖᲣᲡᲘ

თუ ანდერძის ავტორის არსებით მხარედ მივიჩნევთ დედის წილის (m) მიმართებას ვაჟის წილთან (s) და ქალიშვილის წილთან (d), მაშინ, პირობიდან გამომდინარე, ქალიშვილმა ორჯერ ნაკლები წილი უნდა მიიღოს, ვიდრე დედამ, ვაჟიშვილმა კი ორჯერ მეტი, ვიდრე დედამ. ე.ი. მემკვიდრეობა უნდა გაიყოს 7 თანაბარ ნაწილად, საიდანაც 2 წილი ეკუთვნის დედას, 4 — ვაჟიშვილს და 1 ქალიშვილს: m:s:d 2:4:1.